ილია II: საქართველო აუცილებლად უნდა დაელაპარაკოს რუსეთს

საქართველოს რესპუბლიკა



დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 6 იანვარი, 2015 წელი.

№1 (7646)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეული სიფცვაა, ფცეილებით და ჭიანებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

„მზიანი ღამე“ აუცილებლად გათენდება, საქართველო გადარჩება და გამთლიანდება!

თანხა, რომლითაც ეკლესია სახელმწიფოსგან ფინანსდება, სასულიერო პირების ხელფასებზე არ ნაწილდება

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე აცხადებს, რომ ის თანხა, რომლითაც ეკლესია სახელმწიფოსგან ფინანსდება, სასულიერო პირების ხელფასებზე არ ნაწილდება.

„მე ერთი რამ მინდა ვთქვა — ის, რასაც სახელმწიფო ეკლესიას აძლევს, მთლიანად ნაწილდება სასწავლებლებზე. მარტო 40-მდე საშუალო სკოლაა, თავისი ხელფასებით, მთელი ხარჯებით. უნივერსიტეტებია, ბავშვთა სახლები, მოხუცებულთა სახლები. ის დახმარება, რომელსაც სახელმწიფო გვაძლევს, თითქმის ნახევარსაც არ ჰყოფნის და ვცდილობთ, ვიშოვოთ ან ვიღაც შემოგვწირავს და ამას ვუმატებთ. ეს არ ნაწილდება სამღვდელოებაზე. არავითარ ხელაფსებს არ ღებულობენ აქედან“, — განმარტა პატრიარქმა.

იხ. 2 გვ.

საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში, გონიერი და ზნეკეთილი ოლიკო ბაბლუანის საავტორო გადაცემაში „მშვიდობით იარაღო!“, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა ილია მეორემ, როგორც მოსალოდნელი იყო, მრავალი საჭირბოროტო საკითხი, ჩვენი ქვეყნისა და ხალხისთვის მოსაგვარებელი პრობლემები გააანალიზა.

მკითხველის თხოვნით გთავაზობთ მთავარ ამონარიდებს ამ ინტერვიუდან და ბოლო დღეებში პატრიარქის მოღვაწეობის ჩვეულებრივ ქრონიკებს.

სიღარიბემ შეჩვევა იცის და ეს ძალიან საშიშია

პატრიარქი მიიჩნევს, რომ ადამიანი უნდა ეძებდეს თავის ადგილს ამ ცხოვრებაში და ყოველი ადამიანი თუ კარგად იფიქრებს, თავის ადგილს ნახავს.

„ადამიანმა უნდა იპოვის უპირველესად ღმერთი. არ არის რთული ღმერთის პოვნა, ძალიან დიდ მნიშვნელობა აქვს როგორ ოჯახში გაიზრდება ბავშვი, რას ასწავლიან მშობლები. მე გავიზარდე ისეთ ოჯახში, რომ ერთი ხმამაღალი სიტყვა ან დაყვირება არ გამიგონია“.

ილია მეორემ აღნიშნა, რომ თუ ადამიანი იპოვის ღმერთს, მაშინ თავის თავსაც და ადგილსაც იპოვის.

„საქმე იმაშია, ადამიანმა უნდა იცოდეს, რომ ეს ცხოვრება განსაცდელია, გამოცდაა და გამოცდას თუ ჩააბარებს, ის ბედნიერია. არის რწმენა და ცრურწმენა და ადამიანმა ჭეშმარიტი სარწმუნოება უნდა იპოვოს. მე ვერ წარმომიდგენია ადამიანი ბედნიერი ღმერთის გარეშე. ბედნიერება ეს რთული პროცესია. ადამიანმა უნდა ნახოს თავისი ადგილი და იშრომოს. უნდა იღვაწოს არა მარტო თავისთვის, არამედ ქვეყნისთვის, ოჯახისთვის, სხვებისთვის და განსაკუთრებით გაჭირვებულებისთვის“.

პატრიარქმა ბრძანა, რომ ადამიანს სიკეთის კეთება დიდ სიხარულს ანიჭებს, რადგან სიკეთე ღვთის წინაშე არ იკარგება.

უნიკალური „სალხინოს“ ბედი

ალიარონ საქართველო, როგორც მასტიტის საწინააღმდეგო წამლის გამომგონებელი ქვეყანა!!!

7 იანვარს ალილო ვარდების მოედნიდან დაიწყება

შობის დღესასწაულთან დაკავშირებით ტრადიციული ალილო 7 იანვარს, 14:00 საათზე, ვარდების მოედნიდან დაიწყება.

როგორც საპატრიარქოს მისიისა და ევანგელიზაციის განყოფილების თანამშრომელმა ბარბარე რუხაძემ გააცხადა, მსვლელობას ტრადიციულად თეატრალიზებული სახე ექნება, ანალოგიური, როგორც წინა წლებში იყო.

მსვლელობაში მონაწილეები გაივლიან რუსთაველის გამზირს, თავისუფლების მოედანს, პუშკინის ქუჩას, კონკასთან მონაწილეთა ჯგუფი საპატრიარქოში მივა, სადაც მათ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დალოცავთ და ალილოსთვის ტკბილეულს გადასცემს. შემდეგ მსვლელობა ბარათაშვილის ხიდით ბარათაშვილის ქუჩაზე გაგრძელდება. აქ ერთი ჯგუფი პრეზიდენტის სასახლისკენ გადაინაცვლებს, სადაც ალილოს მონაწილეებს ტბილეულს პრეზიდენტი გადასცემს და მსვლელობაში მონაწილეებს შობას მიულოცავს. მსვლელობა ყოვლადწმინდა სამების ტაძარში დასრულდება, სადაც სასულიერო პირები შობის პარაკლისს გადაიხდიან.

ყოვლადწმინდა სამებაში მიტანილი შემოწირულობები 9 იანვარს ბავშვთა სახლებსა და უმწეოთა თავშესაფრებში გადანაწილდება.

საქართველოში ალილოს ტრადიცია V-VI საუკუნიდან იღებს სათავეს. მისი აღნიშვნა ბოლო რამდენიმე წელია, ისევ აღდგა.

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

„ᲛᲖᲘᲐᲜᲘ ᲦᲐᲛᲔ“ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲘᲜᲓᲔᲑᲐ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲒᲐᲓᲐᲠᲩᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲗᲚᲘᲐᲜᲓᲔᲑᲐ!

(ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ)

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲣᲐᲠᲧᲝᲤᲘᲗᲘ ᲗᲕᲘᲡᲔᲑᲐᲐ ᲐᲛᲞᲐᲠᲢᲐᲕᲜᲔᲑᲐ, ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲙᲐᲠᲒᲘ – ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ

მე მარტო არასდროს არ ვარ, მე ვარ ღმერთთან და ხალხთან, – პატრიარქი ამით გამოეხმაურა კითხვას, რომლის მიხედვითაც ალბათ არსებობს პერიოდი, როდესაც ის მარტოა თავთან და როგორ ერევა ძალინ რთულ სიტუაციებს.

„ხალხის სიყვარული მაძლებინებს და ღმერთი მაძლევს ძალას, რომ გავუძლო ამ სიძნელეებს“, –განაცხადა პატრიარქმა. მისი თქმით, ქართველი ხალხი მორწმუნეა და, უპირველეს ყოვლისა, მას უყვარს ჩვენი ხალხი თავისი დადებითი და უარყოფითი თვისებებით.

„ჩვენი ხალხის ყველაზე დიდი უარყოფითი თვისება არის ამპარტავნება. ძალიან ამაყები და ამპარტავნები ვართ და ალბათ გამოვსწორდებით. ყველაზე კეთილი თვისება კი სიყვარულია. სიყვარულის დამახასიათებელი თუნდაც ისაა, რომელ ერს აქვს ნათქვამი: „შენი ჭირიმე“, „შენ გენაცვალე“. არც ერთ ერს ეს არა აქვს, მარტო ჩვენ გვახასიათებს“, – განაცხადა პატრიარქმა. ილია მეორე იმედოვნებს, რომ ღმერთი ხედავს ადამიანის გულს და სახეს და ღმერთი სწყალობს ქართველ ხალხს.

გამომდინარე იქიდან, რომ გადაცემას ჰქვია „მშვიდობით იარაღო“, კითხვაზე, რა იარაღს დაემშვიდობებოდა, პატრიარქმა უპასუხა, რომ სიძულვილის იარაღს დაემშვიდობებოდა.

პატრიარქმა ისაუბრა მუსიკაზეც და აღნიშნა, რომ არსებობს მუსიკა და არსებობს ცრუ მუსიკა, რომელიც ანგრევს სულიერ სამყაროს. „მე მიყვარს კლასიკური და ხალხური მუსიკა. ხანდახან ვწერ მუსიკას. ბავშვობიდან მიყვარდა მუსიკა და წერა დავიწყე უკვე სასულიერო პირი როდესაც გავხდი“...

ᲗᲣ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ, ᲛᲣᲓᲐᲛ ᲘᲨᲝᲕᲘᲡ

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე მიიჩნევს, რომ აგრესიულმა დამოკიდებულებამ იმატა, მაგრამ ჩვენ უნდა გავაანალიზოთ საერთო მდგომარეობა.

„რთული პრობლემები დგას კაცობრობის, ჩვენს წინაშე. ხალხს არა აქვს სამუშაო ადგილები. მაგრამ მე მაინც იმედით ვუყურებ მომავალს. მამაკაცებს რატომ უჩნდება აგრესია?! ოჯახს თავისი მოთხოვნილება აქვს, მეუღლე და შვილი თავისას ითხოვენ. მამა ვერ აკმაყოფილებს ამ მოთხოვნას და აქედან ჩნდება ეს გაღიზიანება. მაგრამ მე მინდა, ვთქვა, რომ თუ ადამიანს უნდა სამუშაო, მუდამ იშოვის“.

პატრიარქი მიიჩნევს, რომ არც ერთი სამუშაო არ არის სათაკილო და კარგი იქნება, თუ ხალხი თუნდაც მიწის დამუშავებას დაუბრუნდება. „მიწის დამუშავება შემოსავლის მიზნითაც კარგია და ამავე დროს მიწა მკურნალია ადამიანის. თვითონ ადამიანი მიწისგანაა შექმნილი, მიწა არის ჩვენი ნაწილი და ჩვენ ვართ მისი ნაწილი“, – ბრძანა პატრიარქმა.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡ ᲐᲜᲐᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲐᲖᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი მიიჩნევს, რომ ქართულ საზოგადოებას ანალიტიკური აზროვნება სჭირდება.

„ადამიანმა უნდა ისწავლოს ანალიტიკური აზროვნება, უნდა გააანალიზოს არა მარტო თავისი საკუთარი ოჯახის მდგომარეობა, არამედ ქვეყნისა და მსოფლიოს მდგომარეობაც“, – განაცხადა პატრიარქმა. მისივე თქმით, აუცილებელია განათლებაც.

„იყო დიდი ფილოსოფოსი და მეცნიერი კლიმენტი ალექსანდრიელი, რომელმაც დაწერა წიგნი „სტრომატი“, ანუ ხალიჩა, სადაც ამბობს, რა დამოკიდებულებაშია ცოდნა და რწმენა. ის ამბობს: „განათლებული და მორწმუნე ადამიანი არის მეგობარი ღვთისა და მხოლოდ მორწმუნე ადამიანი არის მონა ღვთისა“. ასე რომ, ამ სრულყოფის კიბეზე უნდა ავიდეს ადამიანი და გახდეს მეგობარი ღვთისა“...

ᲩᲕᲔᲜ ᲕᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲗ ᲓᲐ ᲕᲘᲐᲠᲡᲔᲑᲔᲑᲗ!

ჩვენ ქრისტიანები ვართ და რა თქმა უნდა, ტოლერანტული ნიჭი დაბადებიდან გვაქვს, – საქართველოს ისეთი გეოგრაფიული მდებარეობა უკავია, რომ გარშემო სხვადასხვა ერების და სარწმუნოების ხალხი გვახვევია. „ჩვენ მუდამ ვცდილობდით და ვცდილობთ, შემწყნარებლობა სუფევდეს ჩვენში. მე მახსოვს, როდესაც ქისტი სტუმრები ჩამოდიოდნენ ჩვენთან სახლში, მეგობრები იყვნენ ჩემი მშობლების, დედა და მამა საუკეთესო ოთახს ამზადებდა მათთვის, ფენდნენ ხალიჩებს, რომ იმათ თავისებურად ელოცათ. ჩვენ მეორე ოთახში ხატების წინ ვლოცულობდით და მერე ერთად ვსხდებოდით სადილზე“, – აღნიშნა პატრიარქმა.

კითხვაზე, უნდა ვიყოთ თუ არა ტოლერანტულები განსხვავებული, სარწმუნოების, შეხედულების ადამიანის მიმართ, ილია მეორემ განაცხადა, რომ უნდა ვიყოთ ტოლერანტულები, მაგრამ ამავე დროს უნდა გვახსოვდეს, რა არის კეთილი და რა არის ბოროტი.

„ეს არ უნდა დავივიწყოთ. უნდა ვარჩევდეთ, მაგრამ ამავე დროს პატივი უნდა

ვცეთ სხვა ადამიანის აზრს. შეიძლება არ გავიზიაროთ, მაგრამ პატივი მაინც უნდა ვცეთ განსხვავებული აზრის ადამიანს“, – ბრძანა უწმინდესმა.

კითხვაზე, რამდენად ვახერხებთ ვიყოთ ტოლერანტულები, პატრიარქმა აღნიშნა, რომ „ამას ვახერხებთ“. „ამიტომაცაა დიდი ქვეყნები და იმპერიები ისპობა, ჩვენ ვარსებობთ და ვიარსებებთ. საქართველო გადაარჩინა შემწყნარებლობამ, სხვების მიმართ პატივისცემამ“...

ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲦᲛᲔᲠᲗᲘᲡ ᲑᲝᲫᲔᲑᲣᲚᲘᲐ

პატრიარქის განცხადებით, წიგნებიდან მასზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ბიბლიამ მოახდინა.

„ბიბლია ყველაზე დიდი უძველესი წიგნია. წინასწარმეტყველების ისტორიაა. ბიბლია არის ჯურღმული სულიერებისა და მეცნიერებისა“, – ბრძანა პატრიარქმა.

კითხვაზე, რომელმა ისტორიულმა პიროვნებამ მოახდინა დადებითი გავლენა კაცობრიობის ისტორიაზე, პატარიარქმა აღნიშნა, რომ თუ ბიბლიის მიხედვით იტყვის, ყველა ისტორიულმა პიროვნებამ მოახდინა გავლენა, თავისი კვალი დატოვა.

„რა თქმა უნდა ქრისტიანობა და ქრისტეს შობა ეს განსაკუთრებული ისტორიული მოვლენაა. ისტორიული პიროვნებები კი ბევრი იყო, ყველა თავის კვალს ტოვებს, ან კარგს ან ცუდს“...

ილია მეორემ თავისუფლების მნიშვნელობაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ეს დიდი ნიჭი და მადლია, რომელიც ჩვენ ღმერთმა მოგვანიჭა. „თავისუფლება ღმერთის ბოძებულია, ეს არის გამოცდა, ამავე დროს. ღმერთმა მისცა ადამიანს თავისუფლება, რომ გაარჩიოს კეთილი და ბოროტი. ასე რომ, თვითონ ადამიანი არჩევს – სასუფეველსა და ჯოჯოხეთს“...

პატრიარქის თქმით, მისთვის ყველაზე ძვირფასი სიტყვებია: **„სიყვარული არის ყველაფრის ფუძე, საძირკველი არსებობისა. წმინდა იოანე ღვთისმეტყველმა ძალიან მოკლედ გამოთქვა: „ღმერთი არის სიყვარული“ და ბედნიერია ის ადამიანი, რომელიც ამ სიყვარულის ნაწილი გახდება. ხანდახან სიყვარული იშრიტება ბოროტებით, ითრგუნება და ბოროტება უფრო წინ მიდის. სიყვარული შინაგანად არის ის ძალა, რომელიც გმირობას გააკეთებინებს, სიყვარული თუ აქვს ადამიანს, ის სიკვდილზეც წავა. სიყვარული ღვთისაა“...**

ᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲠᲣᲡᲔᲗᲘ ᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲡ, ᲣᲐᲠᲧᲝᲤᲘᲗᲐᲓ ᲛᲘᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲐ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲠᲣᲡᲔᲗᲡ

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე მიიჩნევს, რომ რუსეთთან მოლაპარაკებები უნდა დაიწყოს. ამით პატრიარქი საქართველო-რუსეთის ურთიერთობებზე და აფხაზეთთან გაფორმებულ ე.წ. ხელშეკრულებასთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვას გამოეხმაურა.

„ეს რთული პროცესია. მე მქონდა შეხვედრა ინგლისის დედოფალთან. მან თქვა – ძნელია პატარა ქვეყნისთვის დიდი ქვეყნის გვერდით არსებობა. რუსეთი დიდი ქვეყანაა და დიდი ქვეყანა მუდამ ცდილობს კიდევ უფრო მოემატოს ტერიტორიები. ზოგიერთი ქვეყანა დაავადებულია ასეთი სენით, ტერიტორიის მითვისების სენით და უნდა რომ მიუმატოს, მიუხედავად იმისა, რომ ვერ უვლის იმ არსებულსაც და მაინც ცდილობს, დაიკავოს სხვისი ტერიტორია“, – განაცხადა პატრიარქმა.

ილია მეორე ფიქრობს, რომ უნდა გამოინახოს საერთო ენა, გზები. „ევროპის ქვეყნები, დემოკრატიული ქვეყნები და ამერიკის შეერთებული შტატები 20 წელია გვეუბნებიან, რომ ისინი მხარს გვიჭერენ, მაგრამ რუსეთი მაინც თავისას აკეთებს. ამიტომ ჩვენ, მათთან ერთად, უნდა დავიწყოთ მოლაპარაკება რუსეთთან. ჩვენ უნდა დავარწმუნოთ, რომ ის პოლიტიკა, რასაც რუსეთი აწარმოებს, უარყოფითად მიუბრუნდება თვითონ რუსეთს. მე არაერთხელ მითქვამს, რომ სეპარატიზმი არის გადამდები სენი და ისევ რუსეთს მიუბრუნდება ეს. ასე რომ, ხელისუფლებამ უნდა გააანალიზოს მდგომარეობა და უნდა გამოვნახოთ გზები, რომ დავიბრუნოთ აფხაზეთი და სამაჩაბლო. ხანდახან ზოგიერთი ამბობს, რომ ჩვენ დავკარგეთ აფხაზეთი და ცხინვალი. ჩვენ არ დაგვიკარგავს, ჩვენ დროებით ვერ ვაკონტროლებთ ამას და ისევ ჩვენთან დაბრუნდება. აფხაზებმა და ოსებმა უნდა იცოდნენ, რომ ჩვენთან უფრო ბედნიერი იქნებიან ისინი, ვიდრე რუსეთთან, ასეთ დიდ ქვეყანასთან“.

* * *

ᲠᲘᲩᲐᲠᲓ ᲜᲝᲠᲚᲐᲜᲓᲛᲐ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔ ᲛᲘᲣᲚᲝᲪᲐ

აშშ-ს ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი ამერიკის შეერთებული შტატების სახელით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსსა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორეს დაბადების დღეს ულოცავს.

რიჩარდ ნორლანდი მის უწმინდესობას საქართველოს მოსახლეობისა და ქვეყნის კეთილდღეობისათვის მოღვაწეობაში მას წარმატებას უსურვებს.

ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲚᲝᲪᲕᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲝ, ᲛᲔ ᲐᲛ ᲡᲘᲛᲫᲘᲛᲔᲡ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲕᲣᲫᲚᲔᲑᲓᲘ

თქვენი ლოცვები და თქვენი სიყვარული რომ არ ყოფილიყო, მე ამ სიმძიმეს ვერ გავუძლებდი, – ასე მიმართა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მრევლს საკვირაო ქადაგებისას.

სამების ტაძარში პატრიარქის დაბადების დღისადმი მიძღვნილი საზეიმო წირვა აღევლინა. „მინდა, მადლობა გითხრათ ყველას თქვენი ლოცვებისთვის, თანადგომისთვის, სიყვარულისთვის. თქვენი ლოცვები და თქვენი სიყვარული რომ არ ყოფილიყო მე ამ სიმძიმეს ვერ გავუძლებდი. დიდება და მადლობა უფალს მისი სიყვარულისთვის. კიდევ ერთხელ გმადლობთ და ვმადლობ უფალს ამისთვის“, – ბრძანა პატრიარქმა.

უწმინდესის თქმით, ეს განსაკუთრებული დღეა. „ჩვენ ვმადლობთ უფალს მისი წყალობისთვის, მისი მოთმინებისთვის. უფალი ხალხის ლოცვით, ჩვენი ლოცვით გადააფარებს საქართველოს თავის კალთას და საქართველო იქნება უვნებელი, იქნება მთლიანი და საქართველოს დაუბრუნდება აფხაზეთი და სამაჩაბლო“.

ᲛᲬᲣᲮᲐᲠᲔᲑᲐ ᲛᲐᲛᲐ ᲘᲚᲘᲐ ᲙᲐᲠᲢᲝᲖᲘᲐᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ბორან Norman Atlantic-ზე მამა ილია კარტოზიას დაღუპვის გამო მწუხარება გამოთქვა. როგორც პატრიარქმა საკვირაო ქადაგებისას ბრძანა, მამა ილია კარტოზიას შეეძლო გადარჩენა, თუმცა, თავისი ადგილი ბავშვიან ქალს დაუთმო.

„გარდაიცვალა ჩვენი მოძღვარი, არქიმანდრიტი ილია. გემს მოეკიდა ცეცხლი. მას შეეძლო გადარჩენილიყო, თუმცა თავისი ადგილი ბავშვიან ქალს დაუთმო. თვითონ ჩავარდა ზღვაში და ზღვაში დაიღუპა. ღმერთმა აცხონოს და ნათელში ამყოფოს მისი სული“, – ბრძანა პატრიარქმა.

გასულ კვირას, ადრიატიკის ზღვაში, ბორან Atlanti-ზე ხანძარი გაჩნდა. გემზე 500-მდე ადამიანი იმყოფებოდა, მათ შორის იყო საქართველოს რვა მოქალაქე. მამა ილიას გარდა, ყველა მათგანი ცოცხალი და უვნებელი გადარჩა. მამა ილია კარტოზია მცხეთის მამათა მონასტრის წინამძღვარი იყო.

„ᲛᲖᲘᲐᲜᲘ ᲦᲐᲛᲘᲡ“ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ

37 წლის წინათ, 1977 წლის 25 დეკემბერს ერის სულიერი მამის აღსაყდრებისას, ქართული ეკლესია სულს ღაფავდა. ბნელი ღამე ჩამოწოლილიყო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის თავზე... მხოლოდ 15 თუ 16 ეპარქიაღა ბჟუტავდა უღმერთოდ დარჩენილი მრევლის გარეშე. შეშინებული და ბიბლიურ სიბრძნეს ძალით ჩამოშორებული ხალხი ეკლესიებში მისვლას ვერ ბედავდა...

დღეს საქართველოში 50-მდე ეპარქია მოქმედებს, მილიონობით რწმენადაბრუნებულ მრევლს კი 48 მღვდელმთავარი, ასობით ღვთის მსახური– ღირსეული მოძღვარნი და აღორძინებული ტაძრები ემსახურებიან... ღვთის მორჩილ საქართველოს ოქროს გვირგვინივით ადგას თავზე წმინდა სამების ულამაზესი ტაძარი, რომელიც მეოცე და ოცდამეერთე საუკუნის მართლმადიდებლური სამყაროს აღორძინების სიმბოლოდ იქცა.

ამ სულიერი სიმდიდრის მთავარი შემოქმედი, როგორც თვითონ ბრძანებს „მზიანი ღამის“ დამნახველი, დღეს იუბილარი, 82 წლის კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორეა.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია, თავის მრავალრიცხოვან მკითხველ-მრევლთან ერთად, გულითადად ულოცავს ერის უსაყვარლეს სულიერ მამას დაბადების დღეს და დიდხანს სიცოცხლეს უსურვებს.

უფალო, დიდება შენდა!, ღმერთო, შენ გაამთლიანე და გადაარჩინე საქართველო!

ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙ ᲥᲝᲑᲣᲚᲘᲐ

უკრაინა, საყდრისი და პრემიერ-მინისტრი

ახლა უკვე სამ კონტინენტზე ვიბრძვით — აზიაში, აფრიკაში და ევროპაშიც. მაგრამ უკიდურესი გაჭირვების და იძულების გამო კი არა, — მხოლოდ და მხოლოდ მაღალი იდეების გულისთვის — იქაურ ხალხს ვეხმარებით თავისუფლებისთვის ბრძოლაში, დემოკრატიის და მშვიდობის დამყარებაში, ანუ დაახლოებით ისევე, როგორც ნიკო ბაგრატიონი იბრძოდა მოხალისედ ბურების ომში. ამ ომებში აქტიური მონაწილეობით მსოფლიო ზედამხედველის, ამერიკის იმპერიის ინტერესებს კი არ ვიცავთ მხოლოდ, ჩვენ მამულს, ენას და სარწმუნოებასაც ვიცავთ, „ნაცების“ დანატოვარ დემოკრატიას, დამოუკიდებლობას და ტერიტორიულ მთლიანობას ხომ ვიცავთ და ვიცავთ!

ამ „უდავო“ პოსტულატიდან გამომდინარე, ნაცი ლიდერები, მაღალი მეთაურის წინამძღოლობით ისე გულანთებულნი ლაპარაკობენ უკრაინის დაცვაზე, თითქოს, თავად იდგნენ მის დამცველთა რიგებში ფრონტის წინა ხაზზე და სხვებს მოუწოდებდნენ — შემოგვიერთდითო! უკრაინის, უკრაინელი ხალხის დაცვაზე რომ იყოს ლაპარაკი, ვინ ამოიღებდა ხმას, მაგრამ სინამდვილეში, ხომ ყველამ ვიცით, საქმე ჩვენი ნაცების ტყუპისცალი და ამერიკის დასმული(!) ხელისუფლების დაცვას ეხება, და არა — უკრაინელი ხალხისას (გავიხსენოთ სახელმწიფო დეპარტამენტის მაღალი წარმომადგენლის — ქ-ნ ნიულენდის სატელეფონო საუბარი ამერიკის ელჩთან კიევში, უკრაინის მთავრობის დაკომპლექტების თაობაზე!).

მეტი საქმე არა აქვთ ამ ნაც ვაჟბატონ-ქალბატონებს და რესპუბლიკელ-თავისუფალ დემოკრატებს, რომ თავად წავიდნენ ან შვილები გაუშვან უკრაინაში საომრად. მათი მგზნებარე მოწოდებები მხოლოდ სხვის შვილებს ეხება და, ამიტომ კანიდან ძვრებიან, რათა ახალგაზრდებისთვის ტვინის გადაბრუნებით და მაღალი ანაზღაურების დაპირებებით, როგორმე დაარწმუნონ იმაში, რომ აღმოსავლეთ უკრაინაში მცხოვრები რუსების წინააღმდეგ ბრძოლა, რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლას და, მაშასადამე, საქართველოს ინტერესების დაცვას ნიშნავს, რომ ამ ომში მონაწილეობა საპატიო და გმირობის ტოლფასია. ცოტა საკვირველიცაა, ეს „პატრიოტი“ ხალხი ასეთი მაღალი იდეალების დასაცავად საყოველთაო მობილიზაციის გამოცხადებას რომ არ ითხოვს ხელისუფლებისგან. ამჟამინდელი ხელისუფლების პოზიციაც გაუგებარია — თუკი იმაში გვარწმუნებდნენ და დღესაც გვარწმუნებენ ერთობლივად ქოცები და ნაცები, რომ ამერიკის ინტერესებისთვის ბრძოლა ავღანეთ-ცენტრალურ აფრიკაში, იგივე საქართველოს ინტერესებისთვის ბრძოლაა. მაშინ, აქვე — უკრაინაში იმავე ამერიკის ინტერესების და მისი მარიონეტი უკრაინის ხელისუფლების დაცვა უფრო არ უნდა წაადგეს საქართველოს? ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსპექტივა უკრაინიდან უფრო მომხიბვლელად არ დაგვეჭყანება, ვიდრე აფრიკიდან?!

ამ „საღი“ აზროვნებიდან შორს მდგარ კითხვებს, ქოცების ხელისუფლების გაჟეჟილ მდგომარეობაში ყოფნა ბადებს თავისთავად, რადგანაც მას ვერ გადაუწყვეტია, ვერ გაუბედავს თავისი პოზიციის გარკვევით დაფიქსირება და ცნობილი გამოთქმის საწინააღმდეგოდ გაჟეჟილს ამჯობინებს გატეხილს. თორემ, აბა რა გამოდის — ერთი მხრივ, იგი მხარს უჭერს ისეთ ხელისუფლებას, რომელსაც მხარში უდგანან დამნაშავე, საქართველოში ძებნილი და სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებული ნაცები სააკაშვილის ხელმძღვანელობით (ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტს დროებით თავი გავანებოთ), რომლებმაც 2008-ში ჯერ საქართველო ჩააბეს რუსეთთან ომში, ახლა კი — დიდი როლი ითამაშეს უკრაინელების და რუსების დაპირისპირებაში (გაიხსენეთ სააკაშვილის გამოსვლა-მოწოდებები მაიდნის მოვლენების დროს); მეორე მხრივ, თავად უკრაინის ხელისუფლება სწორედ ამ კატეგორიის ხალხს (სააკაშვილ-ადეიშვილის ჩათვლით) სთავაზობს უმაღლეს თანამდებობებს და ჩვენ ამასაც არ ვაპროტესტებთ. **უკრაინის ხელისუფლება: პრეზიდენტი პოროშენკო, პრემიერი იაცენიუკი, რადას თავმჯდომარე გროისმანი, ყველაზე გავლენიანი, საკუთარი სამხედრო შენაერთის მფლობელი ოლიგარქი კოლომეისკი და ძმანი მათნი, არათუ ჩვენ ხელისუფლებას, საკუთარ ხალხს არ სცემენ პატივს, როცა 48-მილიონიან უკრაინაში კადრებს „ვერ პოულობენ“ მთავრობის დასაკომპლექტებლად და იდეურ თანამოაზრეებში, ქართველ ნაცებში ეძებენ მათ. ამერიკის თვალებში შემყურე „ქართული ოცნება“ კი უკრაინის ასეთ, ანტიეროვნულ ხელისუფლებას სოლიდარობას უცხადებს!“**

უთავმოყვარეობის შედეგია ის, რომ არათუ უკრაინის ხელისუფლების აშკარა არამეგობრულ ნაბიჯს ვერ აპროტესტებს ჩვენი ხელისუფლება, ევროკავშირის მიერ გაწნული ალიყურისთვისაც ვერ იღებს ხმას — ისე ყლაპავს შეურაცხყოფას, ვითომც არ დაემცირებინოთ საქართველოს პრეზიდენტი და მთლიანად საქართველო, და უამრავ დანაშაულში მხილებული, ინტერპოლისთვის გადაცემული, ძებნილი(!) სააკაშვილი მარგველაშვილის ცხვირწინ არ დაესვათ ევროპარლამენტში წინა რიგში საპატიო სტუმრად. რამდენად უთავმოყვარეო პრეზიდენტი და ხელისუფლება უნდა გვყავდეს, რომ წინასწარ იცოდე, რა დამცირებასაც გიმზადებს ევროპარლამენტი, და მაინც წახვიდე იქ, სადაც პროტოკოლით სრულებითაც არ გევალება დასწრება. **ვინ, რომელი სახელმწიფოს პრეზიდენტი მოიჭრიდა ასე თავს და ვინ შეარცხვენდა საკუთარ ქვეყანას?! როცა ქვეყნის პრეზიდენტი, ამ უპრეცედენტო(!) ჟესტის მიუხედავად, გაბადრული სახით მადლობას უხდის „დახვეწილი მანერების“ ევროპას, რომელმაც თავი მოგვჭრა მთელ მსოფლიოში, ძალიან ძნელია, ამას ახსნა მოუძებნო. თუმცა, ამაში, ისევ პრეზიდენტი, ქართველი ერის მისეული შეფასება გვეხმარება. ერის შეურაცხმყოფელ სიტყვებს კაცისას, რომელიც, თუნდაც მხოლოდ ამის გამო, საქართველოს პრეზიდენტად არავითარ შემთხვევაში არ უნდა აგვერჩია, აქ არ მოვიყვან, მაგრამ ეტყობა, როდესაც თავისი „ფილოსოფიური აზრები“ ქაღალდზე გადაჰქონდა, ქართველი კაცის პროტოტიპად საკუთარი თავი ჰყავდა წარმოდგენილი მას!**

სიმართლის თქმას, სამწუხაროდ, ვერავინ ბედავს ხელისუფლებაში. ერთხელ გაბედა სიმართლის თქმა ახლადდანიშნულმა თავდაცვის მინისტრმა და ისე დაესივნენ მას ნაცები და რესპუბლიკელ-თავისუფალი დემოკრატები, ე.წ. არასამთავრობათან ერთად, რომ ცალკე პრემიერს ახდევინეს ბოდიშები და ცალკე — თავდაცვის სამინისტროს, რომელსაც გამოქვეყნებულ განცხადებაზეც ათქმევინეს უარი. თუ რამდენად ეხება თავდაცვის სამინისტროს ამგვარი, პოლიტიკური შეფერილობის განცხადებების გაკეთება, ეს სხვა საკითხია, მაგრამ ერთი რამ უდავოა — არც ერთი ტყუილი(!) სიტყვა იმ განცხადებაში არ ყოფილა. და, თანაც, ეს **განცხადება, რისთვისაც მინისტრის დასჯასაც მოითხოვენ პირაქაფებული ნაცები, ახლოსაც ვერ მივა იმ აშკარად საფრთხის შემცველ და პროვოკაციულ განცხადებებთან, რასაც ალასანია აკეთებდა მინისტრობის დროს.**

რაც შეეხება პრემიერ-მინისტრის ბოდიშს, სიმართლე გითხრათ, მას შემდეგ, რაც მისი განცხადება მოვისმინე საყდრისთან დაკავშირებით, უკვე არაფერი მისგან თქმული ან გადადგმული ნაბიჯი მომავალში, აღარ გამიკვირდება. სამწუხაროდ, ის მბჟუტავი ნაპერწკალიც ჩაქრა ჩემ და ჩემისთანების გულში, ვისაც კიდევ გვქონდა პატარა იმედი — ხომ ამბობდნენ: ღარიბაშვილი მაგარი ბიჭია და პატრიოტი. **პატრიოტობა სამშობლოს სიყვარული არ არის მხოლოდ, და არც ნაცების მისამართით მკვახე- მკვახე სიტყვების თქმაა მაგარი ბიჭობა. პატრიოტობა და მაგრობა გამბედაობას და თავდადებასაც გულისხმობს, ისეთ თავგანწირვას, როგორსაც მშობელი იჩენს შვილის მიმართ, როცა მის სისხლსა და ხორცს საფრთხე ემუქრება. და როცა შენ, დამნაშავე ნაცებს — გაქცეულებს კი არა, ვინც გვერდში და პროკურატურა-სასამართლოებში გიზის, თითსაც ვერ აკარებ და ამით ამაყობ კიდეც — სასამართლოს (ანუ დამნაშავე მოსამართლეების!) საქმეებში ჩვენ არ ვერევით, სასამართლო თავისუფალიაო (თუნდაც, ახალაიას ხუთიდან ოთხი კი არა, ყველა ბრალდება მოუხსნან!), როცა გაუბედურებულ ხალხს სამართალს ვერ დაანახვებ, ქონებაწართმეულ ორ ათეულ ათას ადამიანს კი ზარალის ანაზღაურებას ბიუჯეტიდან, ჩვენი(!) ჯიბიდან პირდები და არა მიმთვისებლების ქონების კონფისკაციის გზით (ვითომ ძნელი იყოს დამნაშავის დადგენა და მისგან ამოღება!), როცა გამათხოვრებულ შენ ხალხს პენსიის გაზრდას ერთი წლის(!) შემდეგ პირდები, თანაც მხოლოდ 10 (!) ლარით, შენი ნაზირ-ვეზირები კი დანიშვნისთანავე(!) თავის ხოშზე იწერენ პრემიებს და ათასებით იზრდიან ხელფასს და, ამ დროს, ხალხის გულის მოგებას ნაცების მხოლოდ სიტყვიერი „გამათრახებით“ ცდილობ, ამისთანა „კაი ბიჭობა“ და „მაგრობა“ მე არ გამიგია!**

თავდაცვის სამინისტროს განცხადების ირგვლივ ატეხილმა აჟიოტაჟმა ლამის გადაფარა უმნიშვნელოვანესი მოვლენა საქართველოს ისტორიაში — საყდრისის აფეთქება და მასთან დაკავშირებული პრემიერის შოკისმომგვრელი განცხადება, რომლითაც სორბონაში ნასწავლმა კაცმა ცივი წყალი გადაგვასხა ყველას. იმის ნაცვლად, რომ პრემიერს დაეგმო ეს ვანდალური აქტი, დაუყოვნებლივ შეეჩერებინა ოქროს მომპოვებელი კომპანიის სამუშაოები და მკაცრი პასუხი მოეთხოვა კულტურის მინისტრისთვის (ძეგლთა დაცვის სააგენტოს ხელმძღვანელისთვისაც), რომლის განკარგულების საფუძველზეც ჩაიდინა კომპანიამ ეს ბარბაროსობა, თანაც, სასამართლოს გადაწყვეტილებამდე(!), იგი ბრმად ენდო დაინტერესებული მხარეების (ოქროს მომპოვებელი კომპანიის და კულტურის სამინისტროს) მიერ შერჩეული 11 სპეციალისტისგან დაკომპლექტებული კომისიის მიერ ბოლშევიკური უმრავლესობით მიღებულ დასკვნას, და გააკეთა ისეთი განცხადება, რომელმაც ავადსახსენებელი სააკაშვილის ერთი განცხადება გამახსენა, როდესაც შიდა ქართლის დაკარგულ 150-მდე სოფელს მან ქვების გროვა უწოდა.

აქვე, არ შეიძლება გვერდი ავუარო იმ ფაქტს, რომ საყდრისის მაღაროს აფეთქების გამართლებას უსუსურად ცდილობს ამ კომპანიის მრჩეველი სამართლის საკითხებში, ყოფილი მთავარი პროკურორი(!) კბილაშვილი. იმის მაგივრად, რომ ამ პროკურორს სისხლის სამართლის საქმე აღეძრა თავის დროზე კომპანიის წინააღმდეგ, გარემოს გაუგონარი(!) დაბინძურების ბრალდებით, პირიქით მოხდა, ოქროს მომპოვებელ კომპანიაში გადაბარგებული ნაპროკურორალი კბილაშვილი ნგრევის, აფეთქებების და ნიადაგ-მდინარეების მომწამვლელთა დამცველად მოგვევლინა! კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ოქროთი ყველაფრის ყიდვა შეიძლება, ადამიანის სულისაც! ამის მერე ვისღა უნდა გაუკვირდეს ის „სამართლიანობა“, რაც ამ კაცმა დაგვიმყარა მთავარ ბრალმდებლად მუშაობის ერთი წლის მანძილზე!

ისე, ერთობ ძნელი დასაჯერებელია, რომ „ბრმა ნდობით“ იყოს განპირობებული პრემიერის პოზიცია. როცა მან იცის, რომ საყდრისს წლების მანძილზე მინიჭებული ჰქონდა ისტორიული ძეგლის სტატუსი, რომელიც სააკაშვილის ანტიეროვნულმა ხელისუფლებამ მოუხსნა, ხოლო მისმა „ეროვნულმა“ „ქართულმა ოცნებამ“ კი არ აღუდგინა(!), როცა იცის, რომ საყდრისს თვეების მანძილზე, ქარსა და ავდარში ხელყოფისგან იცავდნენ ქართველი გოგო-ბიჭები, როცა იცის, რომ არსებობს ქართველი და გერმანელი მეცნიერების დასაბუთებული დასკვნა საყდრისის, როგორც მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლზე, როცა ერთი სასამართლოს მიერ გამოტანილია განაჩენი საყდრისის დამცველთა სასარგებლოდ, როცა კულტურის სამინისტროს მიერ გასაჩივრებულ ამ საქმეზე მეორე სასამართლოს ჯერ არ უთქვამს საბოლოო სიტყვა (მორიგი სხდომა მხოლოდ 12 იანვრისთვისაა დანიშნული), და როცა პროცესის დასრულებამდე ერთი თვით ადრე საყდრისს აფეთქებს კომპანია კულტურის სამინისტროს ნებართვით, და როცა კანონის უხეშად დამრღვევთ იგი არათუ უმკაცრესად, საერთოდ არ სჯის, მაშინ ყველაფერი ამის „ბრმა ნდობით“ ახსნა, უკვე სიბრიყვემდე დასულ გულუბრყვილოებს შეუძლიათ მხოლოდ!

იხ. 6 გვ.

კაკალ გულში

● დოიაშვილმა სთქუა, ნანი ბრეგვაძის სიმღერა ყოველთვის აქტუალური იყოო...

კიდევ კარგი, ევროატლანტიკური გამოწვევებიც რომ არ ახსენა...

● ვცვლი საცივს და გოზინაყს ორ ნაჭერ ყიყლიყოზე! წყალი და ლიმონათი რა კაი დასალევი ყოფილა! ნეტა აქამდე რატომ არ ვიცოდი?!

● ერთი დღით მორიდებით გაქართველებულ ტელევიზიებში, დღეს ისევ დიდი თურქობა დაწყებულა.

● რომეო ისე დათვრა ახალ წელს, რომ ჯულიეტას ეუბნებოდა, ძილის წინ თუ ილოცეო?

● ერთადერთი რამ, რაც არ მომწონს ინგლისელების, ისაა, რომ 1 იანვარს ფეხბურთს თამაშობენ ხოლმე...

რა გეფეხბურთება, შე კაიდედამამიშვილო, მაურინიოს ცოლს საცივი გაუკეთებია თურმე და უფუჭდება!..

1 იანვარი 2015 წელი. „ტოტენჰემი“ — „ჩელსი“ 5:3, რავალია?

წერილოვანი ოჩაზები

● რაღაც ფილმი მიდის ვიკინგებზე, ტიპები 3-4-ჯერ დაიღუბნენ, მაგრამ საჭირო მომენტში უცბად შემოვარდებიან ხოლმე ბრძოლაში კივილით — „ჩემი მოკვლა არც ისე ადვილიაო“. ძალიან მარტივი გზით დადის ამის რეჟისორი - თავსაც არ იწუხებს ამბის მოგონებაზე, ვინ როგორ გადარჩა.

● სად ნარმანიას ანთებული გაზქურა და სად უგულავასი?..

● გიგის რატო არ მიულოცეთ, ფარჩაკებო, სულ მარტო დარჩა კაცი, აღარც ცხენები არც ფაეტონიიი, და ისევ ფეხით დადიიის.

● გამაოგნებელია, რომ რეჟიმს, რომლის დროსაც გამამტყუნებელი განაჩენი შემთხვევათა 99,9 პროცენტში გამოჰქონდათ, როდესაც პირველ ადგილზე ვიყავით მსოფლიოში პატიმრების სიკვდილიანობის მაჩვენებლით (თუ სიკვდილობის), როდესაც წამებამ საპატიმროებში მასობრივი და სისტემური ხასიათი მიიღო (არ მითხრათ ახლა დადგმულიაო, 26 მაისს რა ჩაიდინეს კამერების წინ და ჩაკეტილ სივრცეში რას ჩაიდენდნენ), კიდევ ჰყავს დამცველები. ალბათ, ეს რეგრესული, ღრმად ობსკურანტული და ზუსტად რომ ანტიდასავლური რეჟიმი, მოსწონთ მხოლოდ ისეთ ადამიანებს, ვინც გაიხარებდა 37-ში, ვინც მხარს დაუჭერდა გერმანულ ნაციზმს, ვინც ყოველთვის, ყველა ეპოქაში „ძლიერი ხელის“ და რეპრესიული მმართველის მხარდამჭერია. ამიტომ მათთან კამათი არ ღირს — ადამიანი, ვინც თავს ჯალათთან აიგივებს და არა მსხვერპლთან, უბრალოდ უარყოფს კაცობრიობის მიერ განვლილ გზას და ბარბაროსის პოზიციიდან აფასებს რეალობას. ცივილიზებულობის ხარისხი კი იმით იზომება თანამედროვე სამყაროში, თუ როგორ ეპყრობი ყველაზე სუსტს და დაუცველს.

ამოკრიბა

გია გაბრიჭიძემ

,,სალხინოს“ ბედი

,,ეროვნული ფასეულობა ეროვნულ ფასეულობად, ოღონდ ბაზარზე ეს ფასეულობა ფასეულობად ვერ ჩაეთვლება“

◎ საბჭო მუშაობას იწყებს

რას ურჩევენ მრჩევლები ნარმანიას?

გასული წლის მიწურულს თბილისის მერმა დავით ნარმანიამ შექმნა მრჩეველთა საბჭო, რომელშიც გაერთიანებული არიან ქვეყანაში ცნობადი ადამიანები: **რევაზ მიშველაძე** – მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, **მაყვალა გონაშვილი** – პოეტი, **ვახტანგ დავითაია** – არქიტექტორი, **ოთარ კვესიტაძე** – მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, **იგორ კვესელავა** – სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, **ჯემალ გახოკიძე** – იურისტი, პროფესორი, **ვაჟა აზარაშვილი** – კომპოზიტორი, **ომარ მხეიძე** – მოცეკვავე, ქორეოგრაფი, **გივი თოიძე** – მხატვარი, **გიგა ბათიაშვილი** – არქიტექტორი, **ლადო პაპავა** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი, **კახი კავსაძე** – მსახიობი. საბჭომ უკვე ჩაატარა პირველი სხდომა, რომელზეც განაწილდა ფუნქციები და განისაზღვრა საბჭოს როლი. მას უხელმძღვანელებს დედაქალაქის მერი **დავით ნარმანია**.

გადაწყდა, რომ მრჩეველთა საბჭო შეიკრიბება 2 თვეში ერთხელ. განხილული იქნება დედაქალაქის განვითარების ზოგიერთი ის პრობლემა, რომლის ირგვლივაც მოსახლეობაში აზრთა მკვეთრი სხვადასხვაობაა. მრჩეველთა დასკვნები რჩევის სახით წარედგინებათ მერიასა და მის თავკაცებს. უმთავრესია ავტოსაცობებისაგან ქალაქის განტვირთვა. ითქვა იმის შესახებ, რომ დღეისათვის დედაქალაქში ფაქტობრივად არც ერთი მსხვილი საწარმო აღარ მუშაობს, დაიკარგა მუშათა მთელი არმია და ქალაქი იქცა ინტელიგენციისა და „ბაზარნიკების“ ქალაქად. მოკლედ, თბილისი აღარ არის სამრეწველო ქალაქი, მრჩეველებმა წამოჭრეს თბილისის შემოგარენში მძლავრი სამრეწველო ინფრასტრუქტურის შექმნის იდეა, რაც მოქალაქეთა დასაქმების პრობლემასაც მოაგვარებს.



უკვე დაისვა სააკაშვილის დროს ნაცმოძრაობის ბელადთა და მათ უცხოელ პარტნიორთა უკვდავსაყოფად ქუჩების, ბაღებისა და სკვერებისათვის წლების წინათ დარქმეული სახელების გადარქმევის საკითხი. როგორც მერიაში აღნიშნავენ, საბჭომ საჭიროდ ჩათვალა რესპუბლიკის მოედანზე უსახური ველოსიპედის ძეგლის (ვის ადგილზე –? – **ზ. ბ.**) აუცილებლად და დაუყოვნებლივ აღების თაობაზე. მაშინ, როდესაც საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში წესრიგის დარღვევაზე და სხვადასხვა საქმიანობაზე ჯარიმებია გაზრდილი, მილიონნახევრიან ქალაქში საზოგადოებრივი ტუალეტები თითქმის არ არსებობს. ისინი უგულავამ გაყიდა და ზოგან სახინკლეებია გახსნილი, ბევრში სილამაზის სალონები და ა. შ. კანტი-კუნტად შემორჩენილებში შესვლის ფასს მეპატრონეები თვითნებურად აწესებენ. იბადება კითხვა, რა ქნას გაჭირვებულმა კაცმა? თანაც პრივატიზებულ ტუალეტებში არც თუ სანიმუშო წესრიგია. საჭიროა სპირფარეშოების დაუყონებლივ აშენება.

საბჭოს სხდომაზე იმაზეც ითქვა, გარკვეული ფართის მქონე ეზოებსა და პერსპექტიულ მშენებლობებზე ავტოსადგომების გარეშე მშენებლობის ნებართვები არ გაიცეს თუ არ არის განსაზღვრული ავტოსადგომისათვის ადგილი. ეს ორგანო გამოიმუშავებს რეკომენდაციებს თბილისის საპატიო მოქალაქის კანდიდატურის, დიდუბის პანთეონში დაკრძალვის (რა უნდა ჯაბას იქ!!!) და ა. შ. შესახებ. ასევე დაისვა ამ პანთეონის გაფართოების, თბილისის ისტორიის მრავალტომეულის გამოქვეყნების, საგამოფენო და მუსიკალური დარბაზების შექმნის და სხვა საკითხები.

იმაზეც ისაუბრეს, რომ ახლოვდება შოთა რუსთაველის დაბადების საიუბილეო – 850 წლისთავი და მისთვის ჯეროვანი შეხვედრა მთლიანად საქართველოსა და მოსახლეობის პრესტიჟის საქმეა. ამასთან გადაწყდა რუსთაველის პროსპექტზე გაიხსნას „რუსთაველის სახლი“. დაისვა საკითხი „მწერალთა სახლში“ – მაჩაბლის 13-ში, მწერალთა კავშირს გადაეცეს ორი ოთახი.

ექსპერტები, სპეციალისტები ერთხმად მიესალმებიან დედაქალაქის მერიასთან მრჩეველთა საბჭოს შექმნას და ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ახლად შექმნილ ორგანოში იმდენი ცნობადი და საზოგადოებისთვის საყვარელი ადამიანია გაერთიანებული, რომ ის თავისუფალი იქნება ყოველგვარი კონიუნქტურისა და პარტიული ზეგავლენისაგან.

ზაზა ბილიხოძე

◎ ფალსიფიკატორები დაისჯებიან

რესტორნებში ღვინოზე კონტროლი მკაცრდება

იანვრიდან რესტორნებში ღვინოზე კონტროლი მკაცრდება. ამის შესახებ სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ რამდენიმე თვის წინათ განაცხადა. მისი განმარტებით, ამ ნაბიჯს სახელწიფო ღვინის ფალსიფიკაციის თავიდან ასაცილებლად დგამს.

სურსათის უვნებლობის სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი გიგა ქურდოვანიძე აცხადებს, რომ ხშირად რესტორნებში გაურკვეველი წარმოშობის ღვინო იყიდება, რაც დიდი რისკის შემცველია როგორც მომხმარებლების ჯანმრთელობისთვის, ასევე ქართული ღვინის იმიჯისთვის.

მისი თქმით, ფალსიფიკაცია არ ნიშნავს მხოლოდ ისეთ შემთხვევებს, როდესაც ხვანჭკარას ნაცვლად ბოთლში სხვა ღვინოა მოთავსებული. ქურდოვანიძის განმარტებით, ფალსიფიკაციად ითვლება შაქარ და წყალგარეული ღვინოც, მსგავსი ტიპის დაღვევების მქონე ღვინოების გაყიდვა კი რესტორნებში საკმაოდ ხშირად ხდება.

„რესტორანმა მონიტორინგის დროს უნდა წარმოადგინოს საბუთი, რომ მის მიერ გაყიდული პროდუქტი ნატურალური ღვინოა და მას არანაირი დანამატები არა აქვს. დღეს ფალსიფიკაციის უამრავი საშუალება არსებობს, არსებობს ფხვნილებიც, რომელსაც წყალში გახსნიან და დაარქმევენ ღვინოს“,- აცხადებს ქურდოვანიძე.

კითხვაზე, ვინ უნდა განახორციელოს ღვინის სერტიფიცირება, ქურდოვანიძე უპასუხებს, რომ პროდუქციის უვნებლობასა და არაფალსიფიცირებულობაზე ის ობიექტია პასუხისმგებელი, რომელიც ღვინოს ყიდის, ამიტომ პასუხისმგებლობას იღებს როგორც რესტორანი, ასევე ღვინის ქარხანა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქურდოვანიძე განმარტავს, რომ სახელმწიფოსთვის არა აქვს მნიშვნელობა, ვინ შეამოწმებს ღვინოს ლაბორატორიულად, მთავარია, რომ რეალიზატორებმა მისი არაფალსიფიცირებულობის სერტიფიკატი წარმოადგინონ.

რაც შეეხება სანქციებს დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში, ქურდოვანიძე განმარტავს, რომ ფალსიფიცირება სისხლის სამართლის დანაშაულია, ამიტომ სანქციებს არც სურსათის უვნებლობის სამსახური დააწესებს და არც ღვინის ეროვნული სააგენტო. საძმე გამოსაძიებლად შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაეცემა. სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით კი ფალსიფიკაციაზე სასჯელი დანაშაულის სიმძიმის მიხედვით, სხვადასხვანაირია. კოდექსი კანონის დამრღვევს მინიმუმ ჯარიმით, მაქსიმუმ კი 8-დან 12-წლამდე თავისუფლების აღკვეთით ემუქრება.

სალომე მეცხვარიშვილი

◎ საზოგადოება

სოციალურ დაფერდებას ვაუჩერი ვერ გამოასწორებს, მაგრამ...

საზოგადოებრივ ცხოვრებაში მყისიერი ცვლილებები არასდროს რომ არ ხდება, საქვეყნოდ ცნობილი ამბავია. სოციალურ რევოლუციებსაც, სამხედრო პუტჩებსაც, პოლიტიკურ-ეკონომიკურ ცვლილებებსაც გარკვეული მოსამზადებელი პერიოდი სჭირდება. როგორც ჩანს, თბილისის ახალი მერის დავით ნარმანიას არჩეულ თანამდებობაზე მუშაობის დაწყების დღიდან განვლილი დრო, გარკვეულწილად, დედაქალაქის მუნიციპალიტეტის მუშაობაში საკმაოდ მნიშვნელოვანი ცვლილებების გააზრებას, მათი განხორციელების გზების ძიებას დაეთმო. ერთ-ერთი ასეთია ზოგიერთი სოციალური პროგრამის საყოველთაოდან მიზნობრივად გარდაქმნის გეგმა, რომელიც, ჩვენი აზრით, საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის და მატერიალური კეთილდღეობის თვალსაზრისით ერთმანეთისგან, რომ იტყვიან, „ცა და დედამიწასავით განსხვავებულ“ ფენებს შორის არსებული უფსკრულის ამოსავსებად მართალია, აშკარად არასაკმარისი, მაგრამ მაინც მცდელობაა.

მხედველობაში გვაქვს თბილისის მერიის სოციალური სამსახურის მიერ გავრცელებული განცხადება იმის თაობაზე, რომ წლეულს, სავარაუდოდ წლის მეორე ნახევრიდან, საყოფაცხოვრებო ვაუჩერები უკლებლივ ყველა ოჯახს აღარ გადაეცემა, ეს მის წევრთა მთლიან შემოსავალზე იქნება დამოკიდებული. ამ სიახლის არსი ის არის, რომ ზოგიერთი სოლიდური შემოსავლის მქონე ოჯახისთვის საკმაოდ მოკრძალებული თანხის სოციალური ვაუჩერი, რომ იტყვიან, ზღვაში წვეთია, სხვებისთვის კი ერთობ საგრძნობი შეღავათი. მდიდრების მდიდრებად აღიარებით და, ამ დიფერენციაციიდან გამომდინარე, გარკვეული „შერჩევითი მიდგომის“ დამკვიდრებით, სიღარიბის ზღვრის ორივე მხრის „ახლო სამეზობლოში“ მყოფი ადამიანებისთვის უფრო მეტად დახმარების გაწევის შესაძლებლობას შექმნის. ამას კი, დედაქალაქის არცთუ უკიდეგანო ბიუჯეტის პირობებში, გაჭირვებული მოსახლეობისთვისაც დიდი შეღავათი იქნება და არც შეძლებულ ხალხს აზარალებს დიდად.

საყოველთაო მიზნობრივი ვაუჩერებისადმი ასეთი მიდგომა ახალი არ არის, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სოციალურად სამართლიანია. ამავე დროს ისიც უნდა ითქვას, რომ, მიუხედავად იმისა, თუ შემოსავალი და მატერიალური რესურსების ფლობით თანამოქალაქეთა რა ოდენობაზე უკეთესი მდგომარეობა აქვთ, ამ გადაწყვეტილებით, დარწმუნებული ვართ, მრავალი ჩვენი თანამოქალაქე უკმაყოფილო დარჩება, მით უმეტეს თუ ამ პრაქტიკას სხვა პროგრამებზეც განავრცობენ. მაგრამ წმინდა სამართლიანობის თვალსაზრისით თუ მივუდგებით, ამაზე გული არავის არ უნდა დაწყდეს, თუკი ის ჭეშმარიტი მოქალაქეა, რადგან დახმარებას სწორედ ის გაჭირვებულნი მიიღებენ, ვისაც ეს სხვაზე მეტად სჭირდებათ, თანაც, იქნებ, ცოტა მეტი ოდენობითაც.

წლეულს სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის, დახმარების სახით 250-250 ლარია გამოყოფილი, დანარჩენებისთვის კი ეს თანხა 100-100 ლარითაა განსაზღვრული. აქვე აღვნიშნავთ, რომ მიზნობრივი სოციალური დახმარებების მიმღებები ჩვენში არიან სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ან მარჩენალდაკარგული ოჯახები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, ზოგ შემთხვევაში – იძულებით ადგილნაცვალი პირები, დევნილები და სხვ. ბევრჯერ ითქვა, საჯარო განსჯის საგნადაც ქცეულა ის მეტად არასასიამოვნო გარემოება, რომ სოციალური სამსახურის ინსპექტორთა მიერ ბენეფიციართა განსაზღვრისას ძალიან ხშირია გაურკვევლობა, სადავო მომენტები, კონკრეტული ოჯახის მდგომარეობის განმსაზღვრელი კრიტერიუმების ბევრისთვის გაუგებრობა (ხშირად, მიუღებლობაც!) და, პირდაპირ ვიტყვით, არაობიექტურობაც კი! მიზნობრივი დახმარების გაწევის წესის შემოღება კი შესაძლებელს გახდის სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის დახმარება 500 ლარამდე გაიზარდოს, რაც, დაგვეთანხმებით, მათთვის გაცილებით საგრძნობი შეღავათი იქნება.

ამასთან, საგულისხმოა ისიც, რომ მერიის ამ გეგმას კიდევ ერთი მხარეც აქვს: ლაპარაკია არა მარტო სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრებ, სოციალურად დაუცველ ოჯახებზე, არამედ სხვებზეც, ერთობ მცირე შემოსავლის მქონეებზე, რომელთათვის ზამთრის პერიოდში მეტ-ნაკლებად სოლიდური სუბსიდიები, ნამდვილად „ცის მანანასავით“ იქნება. თუ ასეთი გადაწყვეტილება მიღებული იქნება, ამის შედეგად, ცხადია, სოციალური სამსახურის თანამშრომლებს დიდი სამუშაო ექნებათ ჩასატარებელი, ვინაიდან სოციალურად დაუცველ ოჯახთა დღესდღეობით, ასე ვთქვათ, „სახელმძღვანელო“ სიებს სერიოზული გადახალისება დასჭირდება. ამ მნიშვნელოვანი სოციალური ღონისძიების ფრთაშესასხმელად, დედაქალაქის მერიაში საგანგებო კომისიის შექმნა იგეგმება, რომელიც ამ მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისთვის მიზნობრივი ვაუჩერის საჭიროებას განსაზღვრავს. ამ გზით თბილისის მერიაში იმ მექანიზმის შექმნას აპირებენ, რომლის მეშვეობით არა მხოლოდ სიღარიბის ზღვარს მიღმა, არამედ მათთან მატერიალური შესაძლებლობებით ახლოს მყოფი ოჯახების იდენტიფიცირება იქნება შესაძლებელი. გარდა ამისა, კომისია იმ თანხებსაც განსაზღვრავს, რომლებითაც ასეთი ოჯახების კომუნალური ხარჯის სუბსიდირება მოხდება. ასეთი ოჯახების სიის დადგენისას გათვალისწინებული იქნება ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში აღნუსხული შემოსავალი, მის წევრთა სხვადასხვა სახეობის, ვთქვათ, ინდმეწარმეობის ბაზაში თუ სხვაგან აღრიცხვა, გადახდილი გადასახადების ოდენობა და სხვ. ასევე აღრიცხული იქნება სხვადასხვა შემოსავალი, რომელიც მოქმედი პროგრამით მანამდე გათვალისწინებული არ იყო.

ეს სამუშაო, ბუნებრივია, სოციალური სამსახურის მუშაკების დიდ ძალისხმევას, ყველა კონკრეტული ოჯახისადმი გულისხმიერ მიდგომას საჭიროებს, რაშიც მათ ხელი უნდა შეუწყოს, უწინარესად, ყველასთვის გასაგები და, რაც მთავარია, მაქსიმალურად მისაღები კრიტერიუმების დადგენამ, რომელთა გარეშე მუშაობა შეუძლებელი იქნება, თანაც ეს საქმიანობა კორუფციულ საფრთხეებსაც გააჩენს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მერიის ეს გადაწყვეტილება ძალაში მისი საკრებულოს მიერ მხარდაჭერის შემდგომ შევა. თავად კომუნალური ვაუჩერების გაცემაზე პასუხისმგებელი კომისია გაისად თებერვლისთვის შეიქმნება, ახალი კრიტერიუმები კი 2016 წლიდან ამოქმედდება.

ოთარ აბრამია

უკრაინა, საყდრისი და პრემიერ-მინისტრი

(მესამე გვერდიდან) იმის გათვალისწინებით, რომ ყველაფერი, რაც საყდრისის ირგვლივ ხდება დღეს, ხდებოდა ადრეც, როგორც ერთი კულტურის მინისტრის, ისე – მეორე და მესამე მინისტრების დროს, როგორც ნაცების, ისე ქოცების ხელისუფლების პირობებში, ძნელი არ უნდა იყოს იმის გააზრება, რომ სამინისტროს ყველა ნაბიჯი ყოველთვის მთავრობის მითითებით იდგმებოდა. აბა, რომელი საღ ჭკუაზე მყოფი მინისტრი გაბედავს სასამართლო გადაწყვეტილების არდაღოდებას და საყდრისის აფეთქების ნებართვის გაცემას, მას რომ ხელშეუხებლობის გარანტიები არ ჰქონდეს ყოფილი ან მოქმედი პრემიერისგან მიღებული.

და კიდევ, რომელი კომპანია გასწევდა წინასწარ (ერთი წაგებული სასამართლოს შემდეგ და მეორე სასამართლოს გადაწყვეტილების მოლოდინში!) ასი ათასობით დოლარის სამუშაოებს არსებული გაზსადენის გადასატანად (რაც სწორედ საყდრისის აფეთქებისთვის(!) შემზადება იყო), მასაც მყარი გარანტიები რომ არ ჰქონოდა ხელისუფლების უმაღლესი პირისგან (პირებისგან)! ფულს არავინ არ ყრის, სულელი არავინაა, მათ შორის, არც – არ-ემ-ჯი გოლდის (თავის მადნეულ-კვარციტიანად) მეპატრონე, რუსეთის და ისრაელის მოქალაქე დიმიტრი ტროიცკი.

მაინც რა ხდება ჩვენს თავს? ვინ დაიჯერებს, რომ კომპანიიდან ხაზინაში შესულ რამდენიმე ათეულ მილიონს შეუძლია გადაწონოს საყდრისის, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის „წონა“? ან, ვინ დაიჯერებს იმ მოარულ ხმებს, თითქოს, ივანიშვილის ინტერესებიც იკვეთებოდეს საყდრისში. ვინ ირწმუნებს, რომ 6 თუ 7 ათასი მილიონი დოლარის პატრონი, რომელმაც ქველმოქმედებისთვის ათას მილიონზე მეტი გაიღო, რამდენიმე ათეულ მილიონს დახარბდება და მას ანაცვალებს ორი ათეული წლის მანძილზე მოხვეჭილ სახელს, რეპუტაციას. ეს ხომ ყოვლად დაუჯერებელია, მით უფრო, რომ არ-ემ-ჯის მფლობელიც ცნობილია.

ამიტომ მიზეზი, ვფიქრობ, სხვა რამეში და სხვაგან უნდა ვეძებოთ. როგორც ნებისმიერი დანაშაულის გამოძიების დროს პირველ კითხვად ისმება, თუ ვის აწყობდა ეს – მკვლელობა, უბედური შემთხვევა, ხანძარი თუ სხვა, ზუსტად ასევე უნდა დაისვას კითხვა, თუ ვის აწყობდა ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლის – საყდრისის მაღაროს აფეთქება.

ცხადია, უპირველესად, ყველანი კომპანიას ჩათვლის აფეთქებით დაინტერესებულ, ეჭვმიტანილ მხარედ. ეს უდავოა, მაგრამ კომპანია არ შეიძლება ჩაითვალოს დამნაშავე მხარედ. ესეც უდავოა, რადგანაც ოქრო-სპილენძის მოპოვებით დაინტერესებულ უცხოელს თუ ეროვნებადაკარგულ შინაურს სულაც არ ანაღვლებს საქართველოს ისტორია, მისი წარსული და მომავალი. მაშ ვინ უნდა ჩაითვალოს დამნაშავედ? რა თქმა უნდა ის, ვისაც ხელეწიფებოდა ამ ბარბაროსული აქტის თავიდან აცილება და, ვინც ვალდებული(!) იყო ეს გაეკეთებინა, ვინც უნდა იცავდეს საკუთარი ქვეყნის ღირებულებებს – ხალხს, წიაღისეულ და სხვა სიმდიდრეებს, ეროვნულ ტრადიციებს და, რასაკვირველია, ძეგლებს.

ასეთებად დღევანდელ საქართველოში ძალაუფლების მქონე ორად-ორი პიროვნებაა მხოლოდ – ყოფილი და მოქმედი პრემიერ-მინისტრი, და უკვე შემდეგ პრეზიდენტი და სხვები. ორივე მათგანის მიერ კარგა ხნის წინათ გაკეთებული შეფასება – რომ საყდრისი არ არის რამდენადმე მნიშვნელოვანი და, მაშასადამე, არც დაცვის ღირსი ძეგლი, უკვე მაშინ (კულტურის სამინისტროს კომისიის შექმნამდე!) მეტყველებდა იმაზე, რომ საყდრისის ბედი გადაწყვეტილია და, რომ სასამართლო პროცესები ამ გადწყვეტილებას ვერ შეაჩერებს (ვფიქრობ, ანალოგიურადაა გადაწყვეტილი ხუდონჰესის ბედიც). ფაქტია, საყდრისის აფეთქების შემდეგ კიდევ რამდენჯერმე მოვისმინეთ ამ ძეგლის პრემიერისებური, ანუ უარყოფითი შეფასება.

პრემიერის პირადი დაინტერესებაც გამორიცხულია, კორუფციაში და „წილში ჩაჯდომაში“ მას ნაცებიც ვერ დებენ ბრალს, მაგრამ ისიც უდავოა, რომ ღარიბაშვილი, მისივე აღიარებით, მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს ივანიშვილთან კონსულტაციების გარეშე არ იღებს. ასე რომ, საბოლოო ჯამში, მივდივართ ერთ დროს საქართველოს მოქალაქეობის არმქონე, დღეს კი მთავარ მოქალაქემდე – ჩრდილში მყოფ ივანიშვილამდე. როგორც ზემოთ ვთქვი, პატარა ფულის გულისთვის ათასჯერ მეტი ქონების მფლობელი, ასობით საქართველოს ისტორიული ძეგლების აღმდგენი და სხვა უამრავი კარგი საქმის გამკეთებელი ივანიშვილი ან მაგარ შეცდომაშია შეყვანილი ღარიბაშვილთან ერთად, როგორც ზოგიერთები ფიქრობენ (რისიც, მე პირადად არ მჯერა), ან მიზეზი სულ სხვა რამეშია.

სანამ ამ სხვა მიზეზზე გადავიდოდე, საყდრისის აფეთქების „გამამართლებელ“ კიდევ ერთ უცნაურ მოტივზე უნდა შევჩერდე. პრემიერი და კომპანიის წარმომადგენლები ისე გვიხატავენ სურათს, თითქოს, საყდრისის აფეთქების გარეშე ულუკმაპუროდ დარჩებოდა ბოლნისის რაიონის სამი ათასი ოჯახი. გარდა იმისა, რომ ოჯახების რაოდენობა ჯერადობითაა გაზრდილი, არავინ არ ცდილობს იმის ახსნას, თუ რატომ იყო აუცილებელი საყდრისის მაღაროს აფეთქება (ამ შემთხვევაშიც, კომპანიამ საყდრისი ასაფეთქებლად წინასწარ გაამზადა, კულტურის სამინისტროს ნებართვამდე(!), და პარასკევ საღამოს გაცემული განკარგულება შაბათ დილას უკვე მოყვანილი იყო სისრულეში! ესეც იმაზე მეტყველებს, რომ ყველაფერი შეთანხმებული იყო კომპანიასა და პრემიერ-კულტურის მინისტრს შორის). რა, სხვა დასამუშავებელი ტერიტორია აღარ დარჩა კომპანიას? მაინცადამაინც საყდრისის მაღაროდან (რომელსაც ტერიტორიის მხოლოდ 10-15 პროცენტი უკავია) უნდა დაეწყოთ ოქროს მოპოვება და, თანაც, აფეთქებით?! და თუ მას არ ააფეთქებდნენ სასწრაფოდ, უმუშევარი რჩებოდა სამი ათასი ოჯახი?! აკი, ადრე იმასაც ამტკიცებდნენ, რომ იმდენად მცირეა ოქროს შემცველობა საყდრისში, მისი დამუშავება არარენტაბელური იქნებაო. ცოტა მოშორებით რომ დაეწყოთ ქანების დამუშავება არააფეთქების გზით, და ცოტა ნაკლები მილიონები ეშოვათ, არ შეიძლებოდა? ამასობაში ხომ ბევრი რამ გაირკვეოდა და სასამართლოც თავის სიტყვას იტყოდა. ყველაფერიც შეიძლებოდა, მაგრამ, როგორც ახლახან გამართულ პრესკონფერენციაზე გამოგვიცხადა პრემიერმა, იგი, ჩვენდა სამწუხაროდ, არც აფეთქებას გადარჩენილი საყდრისის მცირე ნაწილის დაცვას აპირებს. პირიქით, მან რიხით გვამცნო, რომ პირადად დაიცავს კომპანიის და იქ მომუშავეთა ინტერესებს. ამიტომ საპროტესტო აქციები კომპანიის ოფისთან კი არ უნდა იმართებოდეს, არამედ – კულტურის სამინისტროსთან მინისტრის გადადგომის მოთხოვნით, და პრემიერის ოფისთან – საყდრისში სამუშაოების დაუყოვნებლივ შეჩერების და... ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების მოთხოვნით!

ახლა, იმ სხვა მიზეზზე. ვფიქრობ, და არა მგონია ვცდებოდე, რომ თუკი ყველაფერს – საშინაო და საგარეო პოლიტიკას ჩვენი „სტრატეგიული მეგობარი“, სახელად „ძია სემი“ გვისაზღვრავს (რა კანონები მივიღოთ, ვის ჩავეხუტოთ და ვის ვაგინოთ, ვინ გავასამართლოდ და ვის გაქცევის საშუალება მივცეთ, სად ვიომოთ და რომელი სახელმწიფოს ხელისუფლებას დავუჭიროთ მხარი, როგორი ძეგლები ვაშენოთ და რომელი ვანგრიოთ, და კიდევ და კიდევ ბევრი სხვა), მაშინ რატომ უნდა გაგვიკვირდეს, თუკი საყდრისის ბედსაც ის გადაგვიწყვეტდა თავის ჭკუაზე და აგვიხსნიდა (როგორც მეგობარი მეგობარს!), რომ ჩვენისთანა გაჭირვებული ქვეყნისთვის ოქროა მთავარი და, რომ უმჯობესია, თავი დავანებოთ წარსულში ქექვას და სახელის მოხვეჭაზე ფიქრს. **კაცი არ მეგულება დღევანდელ ხელისუფლებაში, ვინც შეპასუხებას გაუბედავდა „სტრატეგიულ მეგობარს“.** ამასთან დაკავშირებით, არ შეიძლია ერთი პატივსაცემი კაცის, პოეტ დავით მაღრაძის ერთობ უცნაური მოსაზრება არ მოვიყვანო მისი ამასწინანდელი ინტერვიუდან: **„დღევანდელი ხელისუფლება, თავისი შეცდომებითა და წარმატებებით, არის საქართველოს წიაღში აღმოცენებული ხელისუფლება, ეს არის ჩვენი ხალხის ხელისუფლება. ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლება კი იყო პროექტი, რომელიც მომზადდა სხვა ქვეყანაში“.** ამგვარი მსჯელობა განათლებულ ადამიანსაც კი ეპატიებოდა 2012 წლის ოქტომბერში, როცა ისეთი სპექტაკლი დაგვიდგეს ოკეანისგაღმელმა სცენარისტ-რეჟისორებმა (2003 წლის ნოემბრის მსგავსი), რობერტ სტურუასაც რომ შეშურდებოდა, მაგრამ დღეს, როცა დრომ თვალები აგვიხილა (თანაც, ძალიან სწრაფად), ასე ხომ აღარავინ ფიქრობს. მომკალით და ვერ დავიჯერებ, რომ ქოცების ხელისუფლება, თავისი უსუფაშვილ-ალასანიას პარტიებით, მაღრაძეს „საქართველოს წიაღში შობილ ხალხის(!) ხელისუფლებად“ მიაჩნია, და არა – სხვა ქვეყანაში მომზადებულ პროექტად! ასე რომ იყოს, რა გვიჭირდა ბატონო დავით, მაშინ საყდრისის და კიდევ უამრავი სხვა პრობლემაც ხომ არ გვექნებოდა.

ამერიკას რატომღა უნდა აწყობდეს საყდრისის ხელყოფა? ორი მიზეზის გამო: პირველი, ესაა ოქრო, რაც შეიძლება მეტი ოქრო (უმეტესობა სახელმწიფოების ოქროს მარაგი ამერიკაშია თავმოყრილი შესანახად – „არც დაგეკარგება და არც დაგიბრუნდებას“ პრინციპით. უკრაინის ოქროც გადატრიალებისთანავე ოკეანის გაღმა აღმოჩნდა); მეორე და, ვფიქრობ, უპირველესი(!) მიზეზი, თავად საყდრისის მნიშვნელობაა, მისი უნიკალურობა.

საყდრისი სულ სხვა რაკურსით წარმოაჩენდა საქართველოს მსოფლიოში, სხვა წონას და პატივისცემას შემატებდა მას და, ჩვენს დაშიფრულ, ლაზარეს ქართულ ენასთან ერთად, სავსებით მოსალოდნელი იყო ერთგვარი კონკურენციაც კი გაგვეწია ზოგზოგიერთებისთვის, პირველ რიგში კი – ებრაელი ერისთვის, რომელიც განსაკუთრებით მგრძნობიარეა ყველაფერი იმის მიმართ, რაც კულტურულ მემკვიდრეობას და ამ კუთხით პირველობას შეეხება. ისრაელი კი ერთადერთი სახელმწიფოა მთელ მსოფლიოში, ვის სურვილებსაც უსიტყვოდ ასრულებს შეერთებული შტატები და, ვისაც უპირობო მხარდაჭერას უცხადებს მისი ყველა ხელისუფლება, დაწყებული კენედის მკვლელობის დროიდან (ყველა საპრეზიდენტო კანდიდატს თავის საარჩევნო პროგრამაში პირველ პუნქტად ისრაელის უპირობო(!) მხარდაჭერის ვალდებულება აქვს შეტანილი).

ასე რომ არ იყოს, და ვცდებოდე, რომ მხოლოდ ოქრო იყოს ნგრევა-აფეთქების მიზეზი, მაშინ ასეთი ძეგლის გადასარჩენად ყველა ხმას ამოიღებდა და მხარში ამოგვიდგებოდა მატერიალურად, მათ შორის, – თავად ამერიკა და ისრაელიც. დარწმუნებული ვარ, შემომედავებიან: ალბათ, არ არის ასეთი მნიშვნელობის ძეგლი ეს საყდრისი და ამიტომაც არ შეიბერტყა ყური არავინო. კი ბატონო, შესაძლებელია ასეც იყოს, მაგრამ გერმანელი მეცნიერის (ქართველებს განგებ არ ვახსენებ), თომას შტოლნერის 10-წლიანი კვლევის შედეგები ვინმემ უარყო? საყდრისის ასაკთან(!) დაკავშირებით მის მიერ გაკეთებული დასკვნების მცდარობა ვინმემ დაასაბუთა?

აი, საქმეც ის არის, რომ – არავინ!

იაკობ ლეჟავა.
27 დეკემბერი, 2014

◎ ალიანჩალიანი

პატიმართა პირობით ვადამდე გათავისუფლება – სასამართლოს ხელში

ეს არის ერთ-ერთი მოდელი, რომელზეც სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო პატიმართა ვადაზე ადრე გათავისუფლების მიმართულებით მუშაობს.

მინისტრის მოადგილემ კახა კახიშვილმა განაცხადა, განიხილება ორი ვარიანტი. კერძოდ, მისი განმარტებით, პირისთვის თავისუფლების აღკვეთის კონსტიტუციური უფლებამოსილება მხოლოდ სასამართლოს გააჩნია, მაგრამ კონსტიტუციაში არაფერია ნათქვამი სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს იმ ორგანოებთან დაკავშირებით, რომელთაც შეუძლიათ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა და მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლება, ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლა.

კახიშვილის თქმით, განიხილება საკითხი იმის შესახებ, რომ ან სამინისტროს შესაბამისი საბჭოების საკითხი კონსტიტუციაში დაფიქსირდეს და მის მიერ ზეპირი განხილვის წესი მკვეთრად გაიწეროს, ან აღნიშნული უფლებამოსილება მთლიანად სასამართლოს გადაეცეს.

ამ დროისთვის პარლამენტში წარდგენილია „პატიმრობის კოდექსში“ დაგეგმილი ცვლილებები, რომლის მიხედვით, პატიმართა პირობით ვადამდე გათავისუფლებასთან და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას მხოლოდ ადგილობრივი საბჭოები მიიღებს. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსთან არსებული მუდმივმოქმედი კომისია – ე.წ. ედოს კომისია, უქმდება.

ე.წ. „უდოს“ კომისია უქმდება

პატიმართა პირობით ვადამდე გათავისუფლებასთან და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას მხოლოდ ადგილობრივი საბჭოები მიიღებს. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსთან არსებული მუდმივმოქმედი კომისია – ე.წ. „უდოს“ კომისია, უქმდება.

„უდოს“ კომისიის გაუქმებას „პატიმრობის კოდექსში“ დაგეგმილი ცვლილებები ითვალისწინებს, რომელიც სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროში მომზადდა და მთავრობამ პარლამენტს განსახილველად უკვე წარუდგინა.

პატიმართა პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხებზე ადგილობრივი საბჭოები მოწესრიგებულად მუშაობს, მუდმივმოქმედი კომისია კი ცალკე მდგომი ორგანო იყო, რომელთან დაკავშირებითაც ანალიზმა მისი გაუქმების მიზანშეწონილობა აჩვენა. უწყებაში აცხადებენ, რომ კოდექსში დაგეგმილი ცვლილებების გათვალისწინებით, სისტემა ერთიანი იქნება.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მუდმივმოქმედი კომისია საბჭოს საქმიანობაზე საერთო ზედამხედველობას ახორციელებდა და პატიმართა ვადაზე ადრე გათავისუფლებასთან თუ სასჯელის შემსუბუქებასთან დაკავშირებით გადაწვეტილებებს თავადაც იღებდა. ე.წ. „უდოს“ კომისია შვიდი წევრისგან შედგება, რომელთა შორის არიან დეპუტატები უმრავლესობიდან და უმცირესობიდან, ასევე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, უმაღლესი საგანმანათლებლო-ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების და არასამთავრობო ორგანიზაციების თითო-თითო წარმომადგენელი და სამინისტროს სისტემის ორი თანამშრომელი.

ინტერპრესი

◎ მომსახურება

გაზგასამართ სადგურებში მომხმარებლებს ატყუებენ?

„დანაშაულის ნიშნები აშკარაა, ეს უკვე საგამოძიებო სტრუქტურების საქმეა“

რადგან ბენზინი საქართველოში საკმაოდ ძვირი ღირს, მძღოლების დიდმა ნაწილმა მანქანები ბუნებრივ აირზე გადაიყვანა. თუმცა, ბოლო ხანებში ბუნებრივი გაზის ფასმაც მოიმატა. თანაც, როგორც აღმოჩნდა, მძღოლები გაზრდილი ფასების გარდა, გაზგასამართი სადგურების ოპერატორების მხრიდან არაკეთილსინდისიერ მომსახურებაზეც ჩივიან.

დიდი ხანია, რაც საზოგადოებაში ვრცელდება აზრი, რომ გაზგასამართ სადგურებზე ოპერატორები არაკეთილსინდისიერად მუშაობენ. ამის შესახებ სოციალურ ქსელებშიც ხშირად საუბრობენ. bpn.ge ამ საკითხით დაინტერესდა და მძღოლებს გაესაუბრა. გამოკითხულ რესპონდენტთა უმრავლესობა ამბობს, რომ გაზგასამართ სადგურებში სხვადასხვა ხერხით ატყუებენ მომხმარებელს.ჩვენთან საუბარში მძღოლებმა კონკრეტული კომპანიებიც დაასახელეს, თუმცა, კონკრეტული მტკიცებულებების გარეშე თავს შევიკავებთ მათი დასახელებისგან და იმედს ვიტოვებთ, რომ შესაბამისი უწყებები მათი საქმიანობით დაინტერესდებიან, მომხმარებლის უფლებები არ იქნება ამჟამინდელივით უგულებელყოფილი.

ავთანდილ სურამლიშვილი, მძღოლი: „როცა ბენზინი ძალიან გაძვირდა, მანქანა ბუნებრივ აირზე გადავიყვანე, ვიფიქრე, ამ გზით თანხას დავზოგავდი. სამწუხაროდ, ყველა გაზგასამართ სადგურზე გვატყუებენ, ზოგან 30 თეთრს, ზოგან 10 თეთრს. ახლა დათვალეთ მინიმუმ რამდენი მანქანა მივა ერთ კონკრეტულ გაზგასამართ სადგურზე დღის განმავლობაში და ჩემსავით რამდენს მოატყუებენ, ხომ ხვდებით, კომპანია რამხელა მოგებას ნახავს? და ვის ხარჯზე? ისევ ჩვენი, მომხმარებლების ხარჯზე, ეს დანაშაულია. პატრონი და გამკითხავი არავინ არის. მსოფლიოში საწვავზე ფასები იკლებს, ჩვენთან კი ავტოგაზი გაძვირდა, რასაც ქურდობაც ემატება. დიახ, ეს არის ქურდობა, სხვას მე ვერაფერს ვუწოდებ. თანხას ხომ იპარავენ და გაზის მოცულობასაც გვაკლებენ.“

ზაურ ოსაძე, მძღოლი: „ერთ-ერთი ცნობილი კომპანია იცით, რას აკეთებს? გაზს ათბობენ და ისე ასხამენ, რომ გაფართოვდეს. ჩემს მაგალითზე გეტყვით, 20 ლარის გაზით შევავსე 16-კუბიანი გაზის ბალონი, რომელიც 240 ატმოსფეროთი დაიტვირთა. ყოველი შემთხვევისთვის, ასე მითხრეს გაზგასამართ სადგურზე. მოხდა ისე, რომ გაზგასამართ სადგურთან ერთი საათით მომიწია გაჩერება, ამ დროის გასვლის შემდეგ აღმოვაჩინე, რომ გაზი 50 ატმოსფეროთი შემცირდა. რა უნდა მექნა? ვერ მოვედავე, რადგან მეტყოდნენ, არ ვიცითო — როგორც სჩვევიათ. 50 ატმოსფერო 5 ლარი ღირს, რაც მცირე თანხა ნამდვილად არ არის. ამ პრობლემის მოგვარებას საშველი არ დაადგა. ლაპარაკის ნაცვლად, კარგი იქნება თუ ხელისუფლება ამ საკითხით დაინტერესდება“

ჯემალ ნემსაძე, მძღოლი: „თბილისის გარეუბანში ვცხოვრობ. ჩემს სახლთან ახლოს კერძო გაზგასამართი სადგურია, სადაც 1 კუბური მეტრი ავტოგაზი 1,15 ლარი ღირს. ყოველ დილით სამსახურში წასვლამდე ჯერ იქ შევივლი ხოლმე და საწვავს ვისხამ. დაკვირვებული ვარ, როგორც კი მრიცხველი 4, 70 ლარამდე მივა, ოპერატორი მრიცხველს რთავს. ავზი ბოლომდე რომ გაივსოს, 20 ლარს ვიხდი. რეალურად კი, 18,40 თეთრი უნდა გადავიხადო. ცენტრალურ უბნებში, იგივე ფირმის გაზგასამართ სადგურზე ავზის გავსებაში 25-26 ლარი გადამიხდია. შეიძლება ამხელა სხვაობა იყოს? გაზის საფასური ხომ ყველგან ერთნაირია? კატასტროფა ხდება, რაც ჩვენისთანა ფენის ადამიანს მძიმე ტვირთად აწვება.“

მას შემდეგ, რაც მომხმარებელების პრეტენზიები მოვისმინეთ, Bpn.ge კომენტარისთვის ორგანიზაცია „პროტესტი ბენზინის ქართულ ფასებს“ ხელმძღვანელს **ბეჟა კემულარიას** დაუკავშირდა:

— პირდაპირ გეტყვით, მსგავსი საეჭვო ფაქტები მეც შემინიშნავს. ჩვენი ასოციაცია ამასთან დაკავშირებით მტკიცებულებებს აგროვებს, რომ შემდეგ შესაბამის ორგანოებს წარვუდგინოთ. ამ ეტაპზე იკვეთება, რომ რეალიზაციის დამალვასთან გვაქვს საქმე. ეს არის დანაშაული. თუ დააკვირდებით მრიცხველებს, ათვლა ნულიდან კი არ იწყება, არამედ 30-35 თეთრიდან. ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო ორგანო ამას რატომ არ აკონტროლებს, არ ვიცი. დარღვევა აშკარად არის.

— გამოდის, რომ ეს სფერო უკონტროლოა?

— დიახ, ამ ეტაპზე ასეა. როცა დაუფარავად იწყებენ ათვლას 30 თეთრიდან, ხომ წარმოგიდგენიათ, რა დონის უკონტროლობაა. თქვენი საიტის საშუალებით მივმართავ საგამოძიებო უწყებებს, თუ ვინმე კორუფციულ გარიგებაში არ არის შესული და ამ სფეროს მაღალჩინოსნები არ ლობირებენ, დანაშაულის ნიშნები აშკარაა. ეს უკვე საგამოძიებო სტრუქტურების საქმეა.

ვანო მთვრალაშვილი, „ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირის“ ხელმძღვანელი: „გაზგასამართ სადგურებში ოპერირებენ ცნობილი ნავთობკომპანიები, როგორებიცაა „ვისოლი“, „სოკარი“, „გალფი“, სადაც იაპონური, ევროპული გაზგამშვები აპარატურა აქვთ დამონტაჟებული და სკრუპულოზური სიზუსტით აღირიცხება საწვავის ყოველი გრამი. არ მგონია, რომ მაღალი რაგნის მენეჯერებმა მომხმარებელი მოატყუონ, რადგან ეს კომპანიები პირიქით, კლიენტების კმაყოფილებაზე არიან ორიენტირებული. სხვა, ცალკეულ გაზგასამართ სადგურებზე თავს ვერ დავდებ, მოპარვას არ გამოვრიცხავ, მაგრამ ამ კომპანიებში, რომელიც ჩამოგითვალეთ, 100%-ით შემიძლია დაგიდასტუროთ, რომ ყველაფერი თანამედროვეა და არ იპარავენ. ეს მე თვითონ მინახავს. გაზგასამართი სადგურების მიმართ პრეტენზიებს მომხმარებლების ძირითადად სოციალურ ქსელებში განიხილავენ, ამ პრეტენზიით ჩვენთან არავინ მოსულა. კარგია, რომ თქვენ გეუბნებიან მძღოლები, ე.ი. თქვენი ნდობა აქვთ, მაგრამ ცუდი არ იქნება შესაბამის ორგანიზაციებს თუ მიმართავენ. იმისათვის, რომ მათი უფლებები დაცული იყოს, საჭიროა სამართლებრივი პროცედურების გავლა.“

ჩვენი რესპონდენტების ნაამბობიდანაც ჩანს, რომ ეს საკითხი სერიოზულ მოკვლევას საჭიროებს. იმ პირობებში, როცა ქვეყანაში სოციალური ფონი მძიმეა და მოსახლეობის გაღარიბების რისკები იზრდება, ურიგო არ იქნება თუ, სახელმწიფო უწყებები მომხმარებელთა უფლებების და ბიზნესის კეთილსინდისიერების საკითხით უფრო მეტად დაინტერესდებიან.

სალომე გოგოხია

◎ საპენსიო რეფორმა

მოსახლეობის საშუალო ასაკი იზრდება, პენსია კი...

ახლახან ფინანსთა მინისტრის ნოდარ ხადურის მიერ გაკეთებულ განცხადებას ბოლომდე გადაწყვეტილ ამბად თუ მივიღებთ, 2015 წლის სექტემბრიდან ყველა ასაკით პენსიონერს პენსია ერთიანად, 10-10 ლარით, ანუ ახლანდელ ფასებს თუ შევუფარდებთ, რვა კილო კარტოფილის სამყოფი თანხით გაიზრდება.

ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდესო, ნათქვამია, გაჭირვებული კაცისთვის, ცხადია, ამ „ნასუფრალიდან“ გადმოგდებულ „თუმანსაც“ რაღაცა მწირი შეღავათის მიცემა შეუძლია, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, პენსიონერთა (და არა მარტო მათ!) აბსოლუტური უმრავლესობისთვის ხელისუფალთა ეს „წინასაარჩევნო დანაპირების“ შესრულება და „შემდგომ ამ მიმართულებით მუშაობის გაგრძელების“ პირობის მოცემა, ცოტა არ იყოს, შეურაცხმყოფელია.

არადა, ასეთ შეურაცხყოფილთა რიცხოვნობა ქვეყანაში ცოტა სულაც არ არის, რადგან ბოლო წლებში ასაკით პენსიონერთა რიცხვმა მოიმატა. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს ცნობით, სადღეისოდ ასაკით პენსიასა და სახელმწიფო გასაცემლებს საქართველოში 863 ათასზე მეტი კაცი იღებს, ეს კი მთელი მოსახლეობის რიცხოვნობის 19,1 პროცენტია. ექსპერტები ხაზს უსვამენ იმ გარემოებასაც, რომ თუ ქვეყანაში მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობის საშუალო მაჩვენებელი კვლავაც გაიზრდება, რაც მნიშვნელოვნად ჯანდაცვის სისტემაში მიღწეული პროგრესის წყალობით მოხდება, უახლოეს ათ წელიწადში ამ კატეგორიის მოქალაქეთა რიცხვმა, შესაძლოა, მილიონ კაცს გადააჭარბოს.

საგულისხმოა, რომ სახელმწიფო გასაცემელთა მიმღებებს შორის, პენსიონერი დაახლოებით 694,6 ათასი კაცია — სახელმწიფო მათ პენსიის მიღების საფუძვლად მხოლოდ ასაკს — მამაკაცებს 65 წელს, ქალებს კი 60 წელს —„უთვლის“, რადგან არც საერთო შრომითი სტაჟი, არც დამსახურება, არც ჯილდო, არც წოდება ჩვენს მთავრობასთან „არ ჭრის“.

პენსიონერთა გარდა, სახელმწიფო დახმარება ასევე ეწევა 123 ათასზე მეტ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირს, 26 ათასზე მეტ მარჩენალდაკარგულს, ათასზე მეტ პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლს, 9,5 ათასს სახელმწიფო კომპენსაციის მიმღებს, დაახლოებით ამდენივე სახელმწიფო სუბსიდიის ადრესატს, ასევე მცირე რაოდენობით „სხვა“ კატეგორიას მიკუთვნებულ მოქალაქეებს.

ბოლო ერთი წლის სტატისტიკურ მონაცემთა დინამიკას თუ განვიხილავთ, დავინახავთ, რომ ასაკით პენსიონერთა რიცხოვნობის გარდა, სახელმწიფო გასაცემელთა ყველა დანარჩენი კატეგორიის მოქალაქეთა რიცხვი შემცირდა. ამასთან, ცალკეა აღსანიშნავი, რომ სახელმწიფო გასაცემლების მიმღებთა საერთო რიცხვი კი, ასაკით პენსიონერთა რიცხოვნობის მატების გამო, გაიზარდა და ეს ტენდენცია ბოლო წლებისთვის დამახასიათებელია. კერძოდ, 2010 წელს საქართველოში ასაკით პენსიონერი 657 584 კაცი იყო, 2011 წელს — 662 350 კაცი, 2012 წელს —682 886 კაცი, 2013 წელს — 685 358 კაცი, 2014 წლის ოქტომბრის მონაცემებით კი მათი რიცხვი 694 572 კაცია, რაც ქვეყნის მთელი მოსახლეობის 15,4 პროცენტს შეადგენს. ამდენად, ბოლო ოთხი წლის მანძილზე საქართველოში პენსიონერთა რიცხვი 37 ათასი კაცით გაიზარდა.

ამასთან დაკავშირებით, სოციალურ საკითხთა ექსპერტები აღნიშნავენ, რომ საგანგაშოა არა ქვეყანაში ასაკით პენსიონერთა აბსოლუტური რიცხვის, არამედ მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურაში მათი პროცენტული წილის ზრდა. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სახელმწიფო გასაცემელთა მიმღებთა რიცხვი ქვეყნის მთლიანი მოსახლეობის 19,1 პროცენტს შეადგენს, რაც სახელმწიფო ბიუჯეტისთვის საკმაოდ მძიმე ტვირთია. სწორედ ამ არგუმენტს იშველიებენ უმეტესწილად მაღალი რანგის ჩინოსნები, მათ შორის ისინი, ვისაც მოსახლეობისთვის დაპირებული საპენსიო რეფორმის ხორცშესხმა უშუალოდ ეკისრება — სახელმწიფო გასაცემელთა, მათ შორის პენსიის მიმღები ბევრია, ბიუჯეტი კი „კაუჩუკისა“ არ არისო. ცხადია, რომ მას შემდგომ, რაც 5 ნოემბერს დაწყებული საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგები გახდება ცნობილი, აღნიშნულ პროცენტულ მაჩვენებელში გარკვეული კორექტივები შევა. თუმცა კი, ამთავითვე შეიძლება ითქვას, რომ ჯანდაცვის სფეროში გარკვეული მიღწევების მიუხედავად, ქვეყნის მოსახლეობის საშუალო ასაკის ზრდა თავისთავად არასახარბიელო დემოგრაფიული ნიშანია.

ოთარ ტურაბელიძე

◎ წკეპლიკები

ინტერვიუ იყო თუ დაკითხვა?

საინტერესოა, რა სტატუსი აქვს ქალბატონ ბაბლუანს, ფეხი ფეხზე გადადებული რომ იღებდა ინტერვიუს უწმინდესისგან, როგორც თავის თანატოლისგან. დაკითხვის არც თუ ისე ზრდილობიანი ფორმით, მოუმზადებელი შეკითხვებით, რაც მთავარია, არ წამოდგა და ხელზე არ ემთხვია უწმინდესს საჩუქრის მიღებისას.

ყველასთვის მილოცვა არ ეგების!

უსუფაშვილო, არ დაიღალეთ ნაციონალებთან ჩახუტებით? ვერ ხედავთ, ჩახუტებაზე დედის გინებით გიპასუხებენ პარლამენტში, საერთოდაც, რომელი კანონმდებლობა ითვალისწინებს და გავალებთ საახალწლო მილოცვა გაუგზავნოთ ქვეყნის დამაქცევარ სააკაშვილს?!. გვიპასუხეთ!!!

ლონდა მდივანი

◎ უცხოური გამოცემიდან

უსამართლო სამართალი

„რუსი პელეს სხვა ცხოვრება“

... შორეული 1958 წლის 26 მაისს, სამი მძიმე დანაშაულის ჩადენის ბრალდებით, იგი საბჭოთა საფეხბურთო ნაკრების შვედეთში მსოფლიო ჩემპიონატზე გამგზავრებამდე ორი დღით ადრე დააპატიმრეს. არადა, იმ დროს, სულ ახალგაზრდა ედუარდ სტრელცოვი ნაკრების გამორჩეული, ერთ-ერთი ყველაზე კაშკაშა, უდიდესი სპორტული მომავლის მქონე მოთამაშე იყო. 16 წლის ასაკში მან მოსკოვის ავტოქარხნის გუნდ „ტორპედოში“ დაიწყო თამაში, 17 წლისა ნაკრებში მიიწვიეს, 18 წლისა კი ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. სწორედ მაშინ იყო, რომ მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში ორი დიდებული ვარსკვლავი ერთდროულად აენთო — ერთი მათგანი პელე იყო, მეორე — სტრელცოვი. თუმცა კი მან ხეირიანად გაკაშკაშებაც ვერ მოასწრო — უბედობის გრიგალმა ის სანთელივით ჩააქრო. უფროსი თაობის ფეხბურთის გულშემატკივრებს იგი კარგად ახსოვთ, საშუალო ასაკისას — ცხადია, ნაკლებად, ახალგაზრდებს კი...

ამჟამად უკვე ცნობილია ამ ტრაგედიის დასაწყისის ზუსტი თარიღი — ესაა 1956 წლის 8 დეკემბერი, მელბურნის ოლიმპიადის საფეხბურთო ტურნირის ფინალი, რომელშიც ედუარდ სტრელცოვმა, რომ იტყვიან, მთელი გუნდი „ძალით გაათრია“. მაგრამ, მოსკოვიდან მიღებული ბრძანებით, ფინალში მის მაგივრად სათამაშოდ... ნიკიტა სიმონიანი გავიდა.

არადა, მოგვიანებით თავად პელეს უთქვამს იმ თამაშის შესახებ: „შეხვედრის წინ ჩვენ მხოლოდ სტრელცოვისა გვეშინოდა“. ედუარდ სტრელცოვის №2-196/58 სისხლის სამართლის 424-გვერდიან საქმეში მისი ფეხბურთიდან „ამოღების“ ნამდვილი მიზეზებია ასახული: ესაა ანასტას მიქოიანისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მაშინდელი თავმჯდომარის ბულგანინის საუბრის სტენოგრამული ჩანაწერი ოლიმპიური ტურნირის ფინალში სტრელცოვის შეცვლის შესახებ, ასევე სუკ-ის სპეციალური ინფორმაციის შემცველი სამსახურებრივი მოხმარების დოკუმენტი.

იმდროინდელი წესებით, მოთამაშის შეცვლა არ შეიძლებოდა, ოქროს მედლებს მხოლოდ 11 გამარჯვებული ფეხბურთელი იღებდა. არადა, შეცვლა ნებადართული რომ ყოფილიყო, ან მას არა ავტოქარხნის გუნდში, არამედ შინაგან საქმეთა სამინისტროს „დინამოში“, ანდა არმიის ცენტრალურ სპორტულ კლუბში რომ ეთამაშა, სტრელცოვის სისხლის სამართლის დანაშაულის საქმე არც იქნებოდა.

ეს ამბავი კიდევ ერთხელ გაზეთმა „სოვერშენნო სეკრეტნომ“ გაიხსენა (№12/83, 2012), რომელმაც ამ მტუტე ამბის მანამდე ზოგიერთი ნაკლებად გახმაურებული დეტალი გაგვაცნო.

იმდროინდელ საბჭოთა კავშირის დიდ სპორტში ჭეშმარიტი ამაოების ბაზარი სუფევდა, სპორტულ საჯინიბოთა „მეპატრონეები“ საკუთარი თავის საამებლად ყველა ხერხს მიმართავდნენ. თუკი საუკეთესო მოთამაშეებს საკუთარ გუნდებში ვერ „ითრევდნენ“, მათ არც მოწინააღმდეგეთა გუნდებში ათამაშებდნენ.

შვედეთში მსოფლიო ჩემპიონატის წინ, ფეხბურთში სსრ კავშირის ნაკრებს კიდევ ერთი საუკეთესო ფეხბურთელი მიხეილ ოგონკოვი დააპატიმრეს. გამომძიებლები დაუნდობლად უტევენ „ტორპედოს“ ხელმძღვანელობას, მასზე პასუხისმგებელ ჩინოსნებს, ადამიანები დაკითხვებიდან განადგურებულები ბრუნდებიან შინ, რისთვისაც ღმერთს მადლობას სწირავენ.

სინამდვილეში არანაირი გაუპატიურების საქმე არ ყოფილა — ეს გამოძიება აუპატიურებდა „ტორპედოსა“ და „სპარტაკს“. თავის პირველ ჩვენებაში „დაზარალებული“ ლებედევა წერდა: **„მე არ ვიცი, ვინ მაუპატიურებდა“,** მაგრამ მეორე, გამომძიებლისა და მამინაცვლის კარნახით დაწერილ ჩვენებაში, ის უკვე პირდაპირ სტრელცოვს ადებს ხელს. არადა, ახლა უკვე ცნობილია, რომ სტრელცოვის ციხეში ჩასმა არავის უნდოდა —„ოპერაციის“ მიზანი მხოლოდ სსრ კავშირის ნაკრებიდან მისი გარიცხვა იყო. მაგრამ, მარტო კოლექტიურ ქეიფში მონაწილეობა და ლოთობა საამისოდ საკმარისი არ იყო, ამიტომაც გაჩნდა გაუპატიურების საქმე. თანაც დამნაშავედ ოგონკოვი „დანიშნეს“, სტრელცოვი კი, უბრალოდ, საქმეში მოწმედ გადიოდა.

იმ ავბედით ღამეს, მილიციის ლეიტენანტი თამარ ლებედევა ვითომდა შემთხვევით გაეცნო მიხეილ ოგონკოვს, რომელთანაც ღამე მანქანაში გაატარა, დილით 11 საათზე კი მილიციის განყოფილებაში მას უკვე ელოდებოდნენ გაუპატიურების შესახებ განცხადებით. ღრეობაში გამოძიებისთვის „დაუდგენელი“ პირიც მონაწილეობდა, ვინმე ბორის ვლადიმერის ძე, რომელიც, როგორც ჩანს, მაკონტროლებელი „თვალი“, იყო... მაგრამ ყველაფერი ისე არ წავიდა, როგორც იგეგმებოდა, ოპერაცია თვითდინებით წარიმართა, საქმე იმდენად გახმაურდა, რომ სულაც ნიკიტა ხრუშჩოვის ყურამდე მივიდა, რომელსაც ხალხის საყვარელი სპორტსმენის დასჯა ახალგაზრდობის მავნე ჩვევათა სამაგალითოდ გასამათრახებლად დასჭირდა — სასამართლო პროცესზე სტრელცოვის ადვოკატი მილოვსკი მისი... პროკურორზე მეტი მტერი იყო (!!).

სასამართლო პროცესმა ლიხაჩოვის სახელობის მოსკოვის ავტოქარხნის მრავალათასიანი კოლექტივის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, პანიკამ დაისადგურა კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მაღალჩინოსანთა კაბინეტებში — იქ მუშათა გამოსვლების ეშინოდათ, ამიტომაც მათი და „გაზულუქებული“ ფეხბურთელების ერთმანეთთან დაპირისპირების გადაწყვეტილება მიიღეს, ქარხანაში მრავალი საიდუმლო აგენტი შეგზავნეს, მოსკოვში კი ხმები დაარხიეს ხალხის ყურადღების გასაფანტავად. ეს გამოცდილება კომპარტიას შემდეგ ტემირტაუში, ნოვოჩერკასკში, ორჯონიკიძეში, ტაშკენტსა და სხვა ქალაქებში ხალხის გამოსვლების ჩასახშობად გამოადგა.

მოსკოვის საშინელი „ბუტირკის“ ციხის წიაღში გამომწყვდეული ედუარდ სტრელცოვი თანდათან რეჟიმისთვის სახიფათო კაცად იქცა. ამიტომაც, განაჩენის გამოტანის შემდეგ, რომლითაც მას 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა, იგი შორეული ვიატკის ბანაკში გაამწესეს, პირად საქმეში კი საგანგებოდ ჩაუწერეს: „გაცამტვერდეს!“

ეს კი პირდაპირ იმას ნიშნავდა, რომ პატიმრის სიკვდილის შემთხვევაში, რომელიც მხოლოდ მძიმე სამუშაოებზე უნდა გამოეყენებინათ, ბანაკის ადმინისტრაციას არანაირი პასუხისმგებლობა არ დაეკისრებოდა. ბანაკში სტრელცოვს უსასტიკესად რომ ეპყრობოდნენ, ამას 1958 წლით დათარიღებული ავადმყოფობის ისტორიის ამონაწერიც მოწმობს: **„მსჯავრდებული სტრელცოვი ლაზარეთში სხეულის მრავალი დაჟეჟილობით შემოვიდა. დარტყმები მას მიყენებული აქვს წელ-კუდუსუნის არეში, მკერდში, თავსა და ხელებში. დარტყმები მიყენებულია მაგარი საგნებით, სავარაუდოდ, რკინის მილების გადანაჭრებით და ჩექმების ქუსლებით. ტანზე, თავსა და ხელფეხზე აღენიშნება მრავალობითი დაბეჟილობა, სისხლჩაქცევა და ჭრილობა“.**

საბჭოთა სისტემა თავის შეცდომებს არ აღიარებდა. ვიღაცას ქვეყნის ნაკრებიდან კონკურენტის მოცილება სურდა, სკანდალი კი მთელ მსოფლიოს მოედო. შვედეთის სტადიონებზე ნაკრებს პლაკატები გამოუფინეს **„სსრკ კავშირის მოძალადეები ჩამოვიდნენ“,** რომლებიც მერე ნიკიტა ხრუშჩოვს აჩვენეს, რომელსაც სულ „ცოფები უყრია“. მისი სიძე, ალექსი აჯუბეი მოგვიანებით ამბობდა, რომ თუ არა ეს პლაკატები, სტრელცოვს გამოუშვებდნენ და რომელიმე უსახელო კლუბში თამაშის უფლებას მისცემდნენ.

მაგრამ უბედურ სტრელცოვს წინ მრავალი წლის პატიმრობა ელოდა, თანაც ხშირად მის სიცოცხლეს საფრთხეც ემუქრებოდა: ვიატკის პირველსავე ბანაკში, ერთი ნაძირალა არასრულწლოვანის გალახვისთვის, რომელიც, როგორც რამდენიმე ათწლეულის შემდეგ აღმოჩნდა, ყველა სიკეთესთან ერთად დამბეზღებელიც ყოფილა, ის სიკვდილს ბეწვზე გადაურჩა...

ედუარდ სტრელცოვი 1963 წლის 19 თებერვალს გაათავისუფლეს, სასჯელი ორი მესამედით შეუმცირეს... ამის მერე იგი მოსკოვის ავტოქარხანაში ზეინკლად მუშაობდა, რამდენიმე სეზონი „ტორპედოშიც“ ითამაშა, სხვათა შორის თბილისშიც რამდენიმე შეხვედრაში აქვს მონაწილეობა მიღებული.

სპორტსმენის გარდაცვალების შემდეგ ბევრი ცნობილი პიროვნება მის რეაბილიტაციას, პატიოსანი კაცის სახელის აღდგენას ცდილობდა, თუმცა კი დადებითი შედეგი არც ერთ ცდას არ მოჰყოლია...

ოთარ მერიშვილი

СОВЕРШЕННО СЕКРЕТНО

დედამიწის ზურგზე

შეუცნობელმა სამხედრო თვითმფრინავმა ლიბიის ნავსადგურში ნავთობის გადამზიდ ტანკერს შეუტია: არიან დაღუპულები

საბერძნეთის სანაპირო დაცვის მონაცემებით, ხომალდის ბორტზე 26 კაცი იყო. ლიბერიის დროშის ქვეშ მოძრავი ტანკერი 12,600 ტონა ნავთობის ნედლეულით დერნის ნავსადგურში მივიდა. გუნდის ორი წევრი დაჭრილია.

ინდონეზიის ტრანსპორტის სამინისტრო: „აირაზია ინდონეზიას“ არ ჰქონდა უფლება, შეესრულებინა ფრენა კატასტროფის დღეს

ჩინოვნიკები, რომლებიც პასუხისმგებლები არიან სამოქალაქო ავიაციისთვის, არკვევენ, შეეძლო თუ არა გადამტანს მიეღო ერთჯერადი ნებართვა ფრენის შესრულებაზე შეთანხმებული განრიგის ფარგლებს გარეთ. ჯაკარტაში დაბეჯითებით აცხადებენ, რომ თუ სინგაპურში კიდეც მოიწონებენ რეისს, ინდონეზიის მხარემ ამის შესახებ არაფერი იცოდა. ტრანსპორტის მინისტრი კვლავ აგრძელებს „წმენდას“ და ემუქრება ავიაკომპანიებს ლიცენზიების ჩამორთმევით.

კორუფციისთვის 20 წლით ციხემისჯილი ტაივანის ყოფილი ხელმძღვანელი პატიოსანი სიტყვით ერთი თვით ციხიდან გამოუშვეს

ჩენ შუიბიანი ამტკიცებდა, რომ დიდი თანხის მითვისების და კორუფციის ბრალდების მიზეზი გახდა მისი ანტიჩინური პოლიტიკა და ტაივანის დამოუკიდებლობის კურსი. სასამართლო პროცესის დროს მან გამოაცხადა შიმშილობა, აგრეთვე ცდილობდა თავის მოკვლას. ამჟამად ექს-ჩინოვნიკს მთელი რიგი დაავადებები, მათ შორის, ტვინის დეგენერაცია აწუხებს.

ცისფერი თინუსი ტოკიოს ბაზარ ცუკიჯიზე სერიოზულად გაიაფდა: 37 ათასი დოლარი ერთი თევზისთვის

შესყიდული თევზი იწონის 180 კილოგრამს. თინუსი შეიძინა რესტორნების ტოკიოს დიდმა ქსელმა. შარშან მან ანალოგიური თევზისთვის გაცილებით მეტი თანხა გადაიხადა. დღევანდელი გარიგება შეიძლება იაპონელებმა როგორც ცუდი ნიშანი აღიქვან.



◎ პროგნოზი

მიხეილ ცაგარელი: ბიძინა ივანიშვილს არ ვურჩევ პოლიტიკაში დაბრუნებას

აღმოსავლეთში ითვლება, რომ თხა ერთ-ერთი იღბლიანი ცხოველია. ამიტომ, ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი მოსახლეობას ურჩევს, მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა სახის კონკურსებში, რათა უფრო მეტად წარმატებული აღმოჩნდნენ, პოლიტიკოსებს კი ურჩევს, დაიცვან სიმშვიდე, გაარჩიონ ბოროტი და ნათელი ძალების მოქმედება. მისი თქმით, ეს არის პერიოდი, რომელიც ხელს უწყობს ზომიერების დაცვას ყველგან და ყველაფერში. საბოლოოდ კი, საზოგადოებამ უნდა გადაწყვიტოს, რომელი იდეოლოგიურ ჯგუფს და რომელ ადამიანს ენდობა ყველაზე მეტად. ამ მხრივ ეს წელიწადი იქნება გარდამტეხი და ძალიან მნიშვნელოვანი.

for.ge ასტროლოგ ***მიხეილ ცაგარელს*** *ესაუბრა.*

— ბატონო მიხეილ, ზოდიაქოს რომელი ნიშანი იქნება ფავორიტი თხის წლისთვის?

— მთავარი ფავორიტი ჩვენ გვყავს ლომი და ვერძი. მათ წარმატების შანსები საკმაოდ მაღალი აქვთ. შემდგომი ერთ-ერთი ფავორიტი იქნება მერწყული, ოღონდ განსაკუთრებულად წარმატებულია მისთვის თებერვლიდან სექტემბრამდე პერიოდი. სამაგიეროდ, სასწორისთვის ძალიან კარგია სექტემბრამდე პერიოდი. სექტემბრის შემდეგ რთული პერიოდი იწყება და მეტი სიფრთხილე მართებს, მათ შორის პირადი ურთიერთობის მიმართ, სამართალდამცავ ორგანოებთან მიმართებაში, დოკუმენტაციებთან მიმართებაში შეცდომების ტენდენციაც მოიმატებს.

ქალწულისთვის კი პირიქით, მეორე ნახევარია კარგი,ისევე როგორც თევზებისთვის. მაგრამ ქალწულს სექტემბრამდე მართებს მეტი სიფრთხილე, კოლეგიალობის კუთხით. ამ წელიწადს 4 და 5-ქულიანი სისტემით შეიძლება შევავფასოთ ლაგეზი კირჩხიბისა.ზოდიაქოს დანარჩენი ნიშნებისთვის ეს წელიწადი საშუალოა. ეს დასავლური კალენდრით, რაც შეეხება აღმოსავლურ კალენდარს, მთავარი ფავორიტია თხის წელიწადში დაბადებული ადამიანი, მისთვის რაღაც სიახლე უნდა დაიწყოს. მის ცხოვრებაში იწყება 12-თვიანი ახალი ეტაპი. ეს წელიწადი კარგია იმ ადამიანებისთვის, რომლებიც კატის წელიწადში დაიბადნენ, ასევე კარგია ურთიერთობა ტახის წელიწადში დაბადებულებისთვის. პრობლემები შეიძლება შეექმნათ დრაკონის წელიწადში დაბადებულებს. ასევე, ძაღლის და ხარის წელიწადში დაბადებულებს. რაც შეეხება ვეფხვს, ცხენს, მამალს და გველის წელიწადში დაბადებულებს, მათთვის კარგი წელიწადია. დანარჩენი ზოდიაქოს ნიშნებისთვის ეს წელიწადი საშუალოა.

— რა რჩევას მისცემთ ჩვენს პოლიტიკურ ელიტას, რა ტაქტიკით უნდა იმოქმედონ 2015 წელს პოლიტიკოსებმა?

— პოლიტიკოსებს ვურჩევ — გვახსოვდეს, რომ თხა ძალიან მშვიდი ნიშანია და იგი ითხოვს, რომ პოლიტიკოსებმა სიმშვიდე დაიცვან. ადამიანმა უნდა გაარჩიოს ბოროტება და ნათელი ძალების მოქმედება. რადიკალურად უნდა ერთმანეთისგან განვაცალკავოთ კარგი და ცუდი. მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ მიზნის მიღწევას მშვიდობიანი და დიპლომატიური გზით. ამ გზით უნდა იმოქმედონ სწორედ პოლიტიკოსებმა, თუ უნდათ, რომ ეს წელიწადი მათთვის იყოს წარმატებული.

— ქვეყნისთვის რამდენად წარმატებული იქნება თხის წელიწადი?

— რომ გითხრათ, გაჩნდება დიდი სამუშაო ადგილებიო, ასე არ იქნება. ცოტათი წინ წავიწევთ, მაგრამ განსაკუთრებული არაფერი. მაგრამ წარმატებული იქნება იმ მხრივ, რომ ეს იქნება რადიკალური ცვლილებების წელი საკადრო და მეთოდოლოგიების კუთხით. ცვლილებები იქნება როგორც პოლიტიკურ, ასევე საბანკო-ეკონომიკურ, ტურიზმის, სპორტის და განათლების სფეროში, იწყება ახალი განვითარების ეტაპი, რომელიც სერიოზულ რეფორმებთან იქნება დაკავშირებული.

სერიოზული ცვლილებები იქნება როგორც იურისპრუდენციის, ასევე სამედიცინო სფეროში. სერიოზული ქირურგიული ჩარევის პერიოდი იქნება. მოვლენ ახალი კადრები, ბრუნდებიან ძველი პროფესიონალები, მოიმატებს არაკორუმპირებული კადრების მოზღვავების პროცესი. ეს არის სერიოზული საკადრო ცვლილებების და ახალი მეთოდოლოგიის დანერგვის პერიოდი, რომელიც რეალურად ყლორტებს 2016 წლიდან გამოავლენს. შეიცვლებიან დეპარტამენტის ხელმძღვანელები, მინისტრები, მინისტრის მოადგილეები, რაც საერთო ჯამში, სასიკეთოდ წაადგება ქვეყანას.

— სერიოზული ცვლილებების წელი შეაძლებელია გრანდიოზული ცვლილების წელი გახდეს? ამას იმიტომ გეკითხებით, რომ ძალიან აქტიურად მიდის საუბარი იმაზე, რომ ქართულ პოლიტიკაში ისევ დაბრუნდება ყოფილი პრემიერის ბიძინა ივანიშვილის დაბრუნების თაობაზე...

— ბიძინა ივანიშვილს პოლიტიკაში დაბრუნების შანსი აქვს თებერვლიდან სექტემბრამდე, მაგრამ არ ვურჩევ მას პოლიტიკაში დაბრუნებას. იმიტომ, რომ ბიძინა ივანიშვილისთვის პოლიტიკა არის ფრიად ნეგატიური, რომელიც ნეგატიურად განსაზღვრავს მის ჯანმრთელობას, ნერვულ სისტემას. საიდუმლოდ მოქმედება — ეს არის მისი ცხოვრების წარმატების მთავარი კრედო. როგორც კი პოლიტიკაში გამოჩნდება, ნახავთ, რამდენი პრობლემა აგორდება.

პოლიტიკოსები და სოციოლოგები გაუწყრებიან, უამრავი დაპირისპირება იქნება, რაც საგრძნობლად მოუშლის ნერვებს და შეაფერხებს წინსვლის შესაძლებლობას. ამიტომ, ამ შემთხვევაში, წარმატებულად არ მიმაჩნია ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნება, მისი რეიტინგი შეიძლება იმდენად შემცირდეს, რომ მერე ამის აღდგენაზე ზრუნვა იქნება საჭირო. პოლიტიკურ პროცესებზე გარკვეულწილად, ზეგავლენას ახდენს, ოღონდ ეს ზეგავლენა უნდა მოახდინოს ზედმეტი ხმაურის გარეშე და არა იმით, რომ ასპარეზზე გამოჩნდეს. ისევ სჯობს, რომ მოიყვანოს ვინმე სხვა, ოღონდ ისე, რომ ივანიშვილის სახელი იყოს უმწიკლო, როგორც გარანტი „ქართული ოცნების“. მე მიმაჩნია, რომ ეს სწორიც და გამართლებულიც იქნება.

— 2015 წელს უნდა ველოდოთ საპროტესტო გამოსვლებს?

— საპროტესტო აქციები იქნება. როგორც გითხარით, სერიოზული ცვლილებების წელი იქნება. ბევრი იქნება გაანწყენებული იმით, რომ დაკარგავს თანამდებობას. მათ შორის სამთავრობო და პოლიტიკურ დონეზე. მაგრამ ის, რომ ეს აქციები გადაიზარდოს რევოლუციაში, ასეთი რამე არ მოხდება.

თამთა ქარჩავა

◎ განსჯა

გადაცდომის შემთხვევაში, მასწავლებელს შესაძლოა, დისციპლინური სახდელი დაეკისროს

„მასწავლებელთა დისციპლინური წარმოების წესი“ განსაზღვრავს საჯარო სკოლის მასწავლებელთა დისციპლინური გადაცდომების ნუსხას, დისციპლინური სახდელის სახეებს და ადგენს დისციპლინური წარმოების წესს. კერძო სკოლის მასწავლებელთა დისციპლინური წარმოების წესს კერძო სკოლა განსაზღვრავს.

ბრძანების თანახმად, მასწავლებლის დისციპლინური გადაცდომაა: **„მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის“ დარღვევა; საჯარო სკოლის შინაგანაწესის ან და სკოლის წესდების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება; სკოლის ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე ალკოჰოლის, ნარკოტიკული ან სხვა ტოქსიკური საშუალებების მიღება, ასევე სკოლის ტერიტორიაზე თამბაქოს მოხმარება; სამსახურში გამოცხადება არაფხიზელ მდგომარეობაში, ასევე ნარკოტიკული ან ტოქსიკური საშუალებების ზემოქმედების ქვეშ; სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოების წესების დარღვევა. ამასთან, მასწავლებლის სხვა დისციპლინური გადაცდომები შესაძლებელია განისაზღვროს სკოლის შინაგანაწესით.**

მასწავლებლის მიერ დისციპლინური გადაცდომებიდან ერთ-ერთის ჩადენის დისციპლინური წარმოების შედეგად დადასტურების შემთხვევაში, შეიძლება მას დაეკისროს ერთ-ერთი დისციპლინური სახდელი.

ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის სიმძიმის ხარისხის გათვალისწინებით, დისციპლინური სახდელებია: შენიშვნა; საყვედური; სასტიკი საყვედური; სამსახურიდან გათავისუფლება. დისციპლინური სახდელის სხვა სახე კი შესაძლებელია განისაზღვროს სკოლის შინაგანაწესით.

ბრძანების თანახმად, ერთი დისციპლინური გადაცდომისთვის შეიძლება მასწავლებელს დაეკისროს დისციპლინური სახდელის მხოლოდ ერთი სახე.

დოკუმენტით განსაზღვრულია, რომ დაუშვებელია სასტიკი ან ისეთი დისციპლინური სახდელის დაკისრება, რომელიც პირის პატივსა და ღირსებას ლახავს. ასევე, დაუშვებელია სკოლის მიერ მასწავლებლისათვის დისციპლინური სახდელის დაკისრება იმ ქმედებისთვის, რომელიც მან სასკოლო დროისგან თავისუფალ დროს ან სკოლის ტერიტორიის გარეთ ჩაიდინა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სკოლას აქვს დასაბუთებული ინტერესი.

დისციპლინური გადაცდომების განხილვაზე უფლებამოსილია დისციპლინური კომიტეტი. დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველი კი შეიძლება იყოს მოსწავლის, მოსწავლის მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის, შესაბამის სკოლაში დასაქმებული პირის, აგრეთვე, იმ პირის წერილობითი მიმართვა ან ინფორმაცია, რომლის სამსახურებრივ მოვალეობასაც სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა წარმოადგენს;

მასწავლებელს უფლება აქვს, დისციპლინური დევნისას ისარგებლოს დუმილის უფლებით. თუმცა, დუმილის უფლება არ ათავისუფლებს მასწავლებელს დისციპლინური პასუხისმგებლობისაგან.

ბრძანების თანახმად, დისციპლინური სახდელის მოქმედების პერიოდში მასწავლებლის მიმართ არ გამოიყენება წახალისების ფორმები. გამონაკლისი შეიძლება დადგინდეს სკოლის დირექტორის დასაბუთებული გადაწყვეტილებით.

დისციპლინური სახდელის მოქმედების მაქსიმალური ვადაა ერთი წელი. ვადის გასვლის შემდგომ ან ვადაზე ადრე მოხსნის შემთხვევაში ჩაითვლება, რომ მასწავლებელს არ ჰქონია დაკისრებული დისციპლინური სახდელი.

მასწავლებლის მიმართ დისციპლინური წარმოება შეიძლება დაიწყოს დისციპლინური გადაცდომის ჩადენიდან ან დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტის გამოვლენიდან არაუგვიანეს 3 წლისა.

◎ SOS!

თურქული ქათამი ქუთაისში — დაბალი ფასი თუ ადამიანის ჯანმრთელობა?!.

ქუთაისის ბაზარზე თურქული ქათამი ისევ გამოჩნდა, ფრინველი, რომელიც არ იხარშება და საკვებადაც ვარგისიანი არ არის. დღეს ამ პროდუქტს ქალაქის მიმდებარე ტერიტორიაზე ქუჩაში გამოტანილს უხვად შევხვდებით, თუ ლოგიკურად ვიმსჯელებთ და დავფიქრდებით, ვნახავთ, რომ ფრინველი, რომელიც უკვე დიდი ხანია ბაზარზე გასაყიდადაა გამოტანილი მიწაზე ან კალათში, ანდა სულაც ბეტონის ნატეხზე დალაგებული, საკმაოდ კარგად იყიდება, დაკლული ქათამი, რომელიც 2 კილოს იწონის, ერთი ცალი 5 ლარი ღირს.

რა პროდუქტს ყიდულობს საზოგადოება?

რას ჭამს საზოგადოება? არ მოგესმათ — წონის მიუხედავად თქვენ საშუალება გაქვთ, ნებისმიერი თქვენთვის სასურველი დაკლული ქათამი არჩიოთ — ერთი კილო იქნება თუ ორი, მაინც 5 ლარს გადაიხდით.

საინფორმაციო საგენტო „ივერიონი“ ექსკლუზიურად გთავაზობთ შესაბამის ინფორმაციას, რომელიც დიდი შრომის ფასად ახლახან მოვიპოვეთ, ჩვენ მთელი კვირის განმავლობაში ვცდილობდით აჰმად აბელოვთან დაკავშირებას. ეს ის ადამიანია, ვინც აღნიშნულ ხორცეულ ნაწარმს ქუთაისში ყიდის და ქუჩაში რეალიზატორების ხელით უხვად ასაღებს, ჩვენ დავუკავშირდით აბელოვს და ვთხოვედ აღნიშნულ პროდუქტზე ინფორმაცია მოეცა.

— საიდან შემოდის ეს პროდუქტი? რატომ იყიდება 2-კილოიანი ფრინველი 5 ლარად, ან რა მოგება აქვს თქვენთვის აღნიშნულ პროდუქტს, დაკლულ გასუფთავებულს, რომ წონის მიუხედავად 1 ცალს 5 ლარად ყიდით? და რამდენად დაცულია საზოგადოება, რომელიც ამ ფრინველის ხორცს მიირთმევს?

ამ კითხვების შემდეგ აბელოვმა „ივერიონის“ ქუთაისის ბიუროს კორესპონდენტს ყურმილი პასუხის გაუცემლად დაუკიდა.

ახლა კი აღნიშნული ინფორმაცია შესაბამის უწყებებისთვის მიგვინდია, ვნახოთ, რამდენად დაინტერესდება უწყება საკითხით, რომელიც დღეს მეტად აქტუალურია.

აღსანიშნავია, რომ „ივერიონის“ კორესპონდენტს ქალაქში განლაგებულ კალათებში გასაყიდად გამოტანილი ფრინველზე ფოტო და ვიდეო მასალის გადაღება თავად რეალიზატორებმა აუკრძალეს, ჩვენ მადლობას ვუხდით იმ ფარმაცევფტულ კომპანიას, რომელმაც იქვე მდებარე მათივე აფთიაქიდან მოგვცეს ფოტოს გადაღების უფლება. გთავაზობთ აღნიშნულ ფოტოს და დანარჩენი შესაბამისი უწყებებისთვის მიგვინდვია.

დავით ცხვარაძე

◎ ჭადრაკი

ქართველები ფიდეს კლასიფიკაციაში

2014 წლის დეკემბრის შედეგების გათვალისწინებით ფიდემ 2015 წლისთვის მოჭადრაკე ქალვაჟთა განახლებული რეიტინგები გამოაქვეყნა. **მანდილოსანთა ათეულში ორი ქართველი დიდოსტატია: ნანა ძაგნიძე და ბელა ხოტენაშვილი.** პირველ ასეულს სათავეში ისევ იუდით პოლგარი (უნგრეთი, 2675) უდგას, იმის მიუხედავად, რომ იგი აქტიურ ჭადრაკს ჩამოშორდა. ათეულში შემდეგ მოდიან: ჩინელი მსოფლიოს ჩემპიონი ჰოუ იფანი (2673), ჰამფი კონერუ (ინდოეთი, 2581), ნანა ძაგნიძე (2570), ცზიუ ვენძიუნი (ჩინეთი, 2547), ანა მუზიჩუკი (უკრაინა, 2544), ვალენტინა გუნინა (რუსეთი, 2538), კატერინა ლაგნო (რუსეთი, 2530), ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი, 2529), ბელა ხოტენაშვილი (2526). ქართველები — 21. ლელა ჯავახიშვილი (2486), 31. სალომე მელია (2473), 37. ნინო ხურციძე (2455), 40. ნინო ბაციაშვილი (2450), 93. სოფიკო გურამიშვილი (2366), 94. მერი არაბიძე (2366), 97. მაია ლომინეიშვილი (2364).

ვაჟთა ასეულს ნორვეგიელი მსოფლიოს ჩემპიონი მაგნუს კარლსენი (2862) ლიდერობს. შემდეგ მოდიან: ფაბიანო კარუანა (იტალია, 2820), ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი, 2810), ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი, 2800), ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი, 2797), ლევონ არონიანი (სომხეთი, 2797), ანიშ გირი (ჰოლანდია, 2784), ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი, 2783), ჰიკარუ ნაკამურა (აშშ, 2776), სოუ ვესლი (აშშ, 2762). ქართველი დიდოსტატი ბაადურ ჯობავა 2727 პუნქტით 26-ეა.

ლაშა დიდია

მთავარი პრიზი — გაგუნაშვილს

დამთავრდა **მოჭადრაკეთა თბილისის ღია პირველობა ბლიცში, რომლის საპრიზო ფონდი 4050 ლარი იყო.** შეჯიბრებაში თავი გამოიჩინა მერაბ გაგუნაშვილმა. ცხრა შესაძლებლიდან მან 7,5 ქულით პირველი ადგილი და 800 ლარიც დაიმსახურა. 7-7 ქულით მეორე-მეოთხე ადგილები ზურაბ ჯავახაძემ (600 ლარი), დავით ჯოჯუამ (400) და ლევან ფანცულაიამ (200) გაინაწილეს. 6,5 ქულით მე-5 ადგილზე თამაზ მგელაძე (100) გავიდა. ქალებში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. ნინო ხურციძე (500), 2. ბელა ხოტენაშვილი (300) 3. სალომე მელია (200). ნინომ და ბელამ 6.5-6.5, სალომემ კი 6 ქულას მოუყარა თავი.

გივი გაგუა

◎ კალათბურთი

ზაზა ფაჩულია: ყველა თამაშში ბოლომდე უნდა დაიხარჯო

„სახიფათო თამაში იყო. მეტოქეს ქომაგი აქტიურად უჭერდა მხარს და მცირე უპირატესობა არაფერს ნიშნავდა. აღნიშნულის შესახებ მოედანზე გასვლამდეც გვქონდა საუბარი. არ აქვს მნიშვნელობა ვის ეთამაშები. ყველა მატჩში ბოლომდე უნდა დაიხარჯო“, — განაცხადა ზაზა ფაჩულიამ „ნიუ იორკ ნიქსთან“ მოგებული მატჩის შემდეგ, რომელშიც მან სეზონში მე-5 ორმაგი დუბლი შეასრულა.

შეგახსენებთ, რომ გასულ შეხვედრაში საქართველოს ნაკრების კაპიტანმა სეზონისთვის პირადსარეკორდო 16 ქულა ჩააგდო, რასაც 14 მოხსნა, 3 პასი და 2 ჩაჭრაც წაამატა და სტუმართა მხრიდან თამაშის საუკეთესო კალათბურთელად დასახელდა.

თავად მატჩი მილუოკელებმა 95:82 მოიგეს და საშინელ დღეში მყოფ „ნიქსს“ მიჯრით მე-11 მარცხი აგემეს. სახელოვან გუნდს კარგი დროება ნამდვილად არ უდგას. ნიუ იორკელებს 5 მოგების წილ ერთბაშად 31 წაგება გააჩნიათ და აღმოსავლეთ კონფერენციაში მხოლოდ „ფილადელფია სიქსერზს“ უსწრებენ.

რაც შეეხება ფაჩულიას, ბოლო მატჩებია, იგი ჩინებულ კონდიციებში იმყოფება. ბოლო ათ მატჩში ქართველი ცენტრის საშუალო მონაგარი 9 ქულა, 8 მოხსნა და 2 პასია, მთლიანად სეზონში კი ზაზას საშუალო მაჩვენებლები ასეთია: 7 ქულა, 6 მოხსნა და 2 პასი.

„მილუოკი ბაქსი“ მომდევნო მატჩს დღეს შინ „ფინიქს სანზის“ წინააღმდეგ გამართავს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ჩოგბურთი

ჩინელი მეჩოგნე - 2014 წლის ყველაზე გავლენიანი ქალბატონი

ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და ცნობილი ეკონომიკური გაზეთის Financial Times-ის გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ 2014 წლის ყველაზე გავლენიან ქალთა სამეულში საპატიო და ბევრისათვის მოულოდნელი ადგილი დაიკავა ჩინელმა ჩოგბურთელმა ქალმა ნა ლიმ.

ნა ლიმ სპორტული კარიერა ცოტა ხნის წინათ დაასრულა, თუმცა მისი ფინანსური შესაძლებლობებისა და ბიზნესის ნიჭის შესახებ ლეგენდები დადის და როგორც ამბობენ, არც ისე შორსაა ის დრო, როდესაც ნა ლი სპორტული ბიზნესის უდიდესი მაგნატი გახდება.

ამჟამად ჩინელი მეჩოგნის მფლობელობაში სამი დიდი კომპანიაა, რომლებიც სპორტულ ამუნიციას და სხვადასხვა ატრიბუტიკას ამზადებენ. ნა ლი სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ მთლიანად თავის ბიზნესზე გადაერთვება და მერე უნდა ნახოთ, რასაც გააკეთებს...

გიორგი ზოთაძე

◎ რაგბი

12 საუკეთესოში მოსახვედრად

საქართველოს **მორაგბეთა ეროვნული ნაკრები 2015 წლის სექტემბერ-ოქტომბერში მსოფლიოს თასის ფინალურ ეტაპზე ჯგუფური ტურნირის მატჩებს ითამაშებს ახალი ზელანდიის, არგენტინის, ტონგას და ნამიბიის ეროვნულ გუნდებთან. ჩვენი ბიჭები საუკეთესო 12 გუნდს შორის მოსახვედრად იბრძოლებენ, რომ მომდევნო მსოფლიოს თასის დასკვნითი რაუნდის საგზური შესარჩევის გარეშე დაიბევონ.**

2015 წლის უმნიშვნელოვანესი შეჯიბრების დაწყებამდე ბორჯღალოსნები არაერთ პაექრობას გამართავენ: თებერვალ-მარტში ისინი ევროპის ერთა თასზე მოსინჯავენ ძალებს; 13, 17 და 21 ივნისს თბილისის თასზე ურუგვაის, „მზარდ ირლანდიასა“ და „მზარდ იტალიას“ უმასპინძლებენ, ხოლო 2 და 5 სექტემბერს ინგლისში საწვრთნელ მატჩებში კანადასა და იაპონიას დაუპირისპირდებიან.

ევროპის ერთა თასი

7 თებერვალი. ჰოიზენშტამი. გერმანია — საქართველო,
14 თებერვალი. თბილისი. საქართველო — პორტუგალია,
28 თებერვალი. მადრიდი. ესპანეთი — საქართველო,
14 მარტი. თბილისი. საქართველო — რუსეთი,
21 მარტი. ბუქარესტი. რუმინეთი — საქართველო.

მსოფლიოს თასის ფინალური ეტაპი

19 სექტემბერი. გლოსტერი (ინგლისი). ტონგა — საქართველო,
25 სექტემბერი. გლოსტერი (ინგლისი). არგენტინა — საქართველო,
2 ოქტომბერი. კარდიფი (უელსი). ახალი ზელანდია — საქართველო,
7 ოქტომბერი. ექსეტერი (ინგლისი). ნამიბია — საქართველო.

ლექსო ცინცაძე

◎ ინტერნეტიდან

ლამაზმანი ხელში მშვილდით

ძალი ხელში რომ მშვილდს დაიჭერს, იმას არც სხვა წარმატებების შეეშინდებაო — ზუსტად ასეა ამერიკელი მშვილდოსანი ქალის სარა ჰინტონის ამბავი. მას მშვილდოსნობაში დიდი წარმატებებისათვის ჯერ არ მიუღწევია, მაგრამ სამოდელო საქმეში იცოცხლეთ — გვარიანი მაზანდა აქვს.

სარა არაერთ ბულვარულ ჟურნალთან თანამშრომლობს და მისი უგულახდილესი ფოტოები სპორტისა რა გითხრათ და ქალთა სინარნარის მოყვარულებს ნამდვილად უშლის ვნებას და უფორიაქებს სულს. თუმცა სპორტისა და სილამაზის სიყვარული რამ გაყო?

ეს ქერათმიანი ასული იძახის — სპორტიც ნამეტანი მიყვარს და რაგინდ დიდ სამოდელო სიმაღლეებს შევეპოტინო, მშვილდს მაინც ძალუმად მოვქაჩავო, მაგრამ ორი კურდღლის მადევარის ამბავი ხომ იცით? რაც კარგად გამოსდის ადამიანს, ჯობია ის საქმე აკეთოს!

როსტომ რაჭველიშვილი

◎ დღესასწაული

თხამ იმედიანად მოგვიკაკუნა!..

ხალისიანად შემოაბიჯა ქვეყანაში, ჩვენს უსაყვარლეს თბილისში ახალმა, 2015 წელმა. დიდი ზარ-ზეიმით შეხვდა მას დიდ-პატარა როგორც დედაქალაქში, ასევე საქართველოს უკლებლივ ყველა კუთხეში. ზეიმი, ცხადია, ყველგან ზეიმია, მაგრამ განსაკუთრებით ძალუმად იგი მაინც დედაქალაქში იგრძნობა, სადაც პატარა თბილისელებთან ერთად სხვადასხვა მხარიდან საახალწლო არდადეგებზე ჩამოსული მათი თანატოლიც ზეიმობენ.

დიდი მხიარულებაა ამ დღეებში მთაწმინდის ბომბორას პარკში – უამრავი პატარა თბილისელი ხალისობს თავის ბებია-ბაბუებთან, მშობლებთან თუ ნათლიებთან ერთად ამ ზღაპრული პერსონაჟის მოედანზე გამართულ ულამაზეს ნაძვის ხესთან.

ბომბორას პარკის ცენტრალურ მოედანზე კი, კიდევ ერთ მშვენივრად მორთულ-განათებული ნაძვის ხის გვერდით სახელდახელოდ მოწყობილ ესტრადაზე ამ დღეებში თავიანთ ხელოვნებას – სიმღერებს, ცეკვებს – თანატოლებს აჩვენებენ თბილისელი, ასევე ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მხარეებიდან საახალწლო არდადეგებზე ჩამოსული ნორჩი მსახიობები.

საახალწლო განწყობას პატარებსა და მათ ახლობლებს დიდად უხალისებს მრავალნაირი გასართობი ატრაქციონი, პარკის მთელ ტერიტორიას უვლის „საახალწლო მატარებელი“.

ბომბორას პარკში წლეულს პირველად გაიმართა უყინულო საციგურაო მოედანი, რომლის მაგივრობას საგანგებოდ დაგებული პენოპლასტი ასრულებს. მსურველებისთვის აქვე სპეციალური ციგურები ქირავდება – 45-წუთიანი სეანსი 5 ლარი ღირს. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ახლად დამწყებ მოციგურავეებს დახმარებას იქაური თანამშრომელი ქალიშვილები უწევენ, რომლებიც პირველი ნაბიჯების სწორად გადადგმაში ეხმარებიან ბომბორას პარკის ნორჩ სტუმრებს.

უამრავი პატარა სტუმრობს ზამთრის არდადეგების სამხიარულო დღეებში ახალგაზრდობის სასახლეს, სადაც მათ მრავალი უწყება-დაწესებულება თავის ანგარიშზე მასპინძლობს, ნაირ-ნაირი ნუგბარითა და საჩუქრით ეგებება.

როგორც ყოველთვის, საახალწლო ზეიმის ერთ-ერთი გამორჩეული ადგილია თბილისის უძველესი რიყის უბანი, სადაც ერთდროულად რამდენიმე ადგილზე გასართობი პროგრამები იმართება. ერთგან პატარა მაყურებლებსა და მათ მშობლებს ჯამბაზები მოძრავ თეატრში ართობენ, სხვაგან ნაირ-ნაირ სპორტულ შეჯიბრში აცდევინებენ ძალებს. საციგურაო მოედანი აქაცაა გამართული, თანაც ამ დღეებში ეს გასართობი ნორჩებისთვის უფასოა – საჩუქარი მათ თბილისის მერიამ გაუკეთა. ხელოვნურ საფარზე საგანგებო წარმოდგენაც გაიმართა, რომლის დასრულების შემდეგ თოვლის ბაბუამ ყველა პატარას საჩუქრები დაურიგა.

პარლამენტის მოედანზე კი ნორჩი თბილისელებისა და მათი მშობლებისთვის საახალწლო წარმოდგენა გამართა ბათუმის თოჯინების თეატრმა, რის შემდეგ პატარებმა ასევე საახალწლო საჩუქრები მიიღეს.

ნინო ალექსანდრია

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

მოთხოვნა ინფორმაციის წარმოდგენაზე

– სს „გურჯაანიგაზის“, სს „სიღნაღიგაზის“, სს „ყვარელიგაზის“, სს „დედოფლისწყაროიგაზის“, სს „ლაგოდეხიგაზის“, სს“საგარეჯოგაზის“, სს „ახმეტაგაზის“, სს „გორიგაზის“, სს „ბოლნისიგაზის“, სს „ზესტაფონიგაზის“, სს „ხარაგაულიგაზის“, სს „წყალტუბოგაზის“, სს „ჭიათურაგაზის“, სს „ბაღდათიგაზის“, სს „ქუთაისიგაზის“, სს „ზუგდიდიგაზის“, სს „აბაშაგაზის“, სს „ხობიგაზის“, სს „ბუნებრივი გაზის საწარმო ქ. ფოთის“, სს „ჩოხატაურიგაზის“, სს „ოზურგეთიგაზის“, სს „ლანჩხუთიგაზის“ და შპს „ქართლიგაზის“ („კომპანიები“) 2008 წლის 1 დეკემბრამდე წარმოშობილი/დარიცხული კრედიტორული დავალიანებების თაობაზე ინფორმაციის მოძიებისა და კრედიტორული დავალიანების განსაზღვრის მიზნით, შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“ საჯაროდ აცხადებს მოთხოვნას ინფორმაციის წარმოდგენაზე, კერძოდ:

ინფორმაცია „კომპანიების“ დავალიანებებზე რომლებიც წარმოიშვა/დარიცხულ იქნა 2008 წლის 1 დეკემბრამდე წარმოდგენილ უნდა იქნეს, არაუგვიანეს 2015 წლის 12 იანვრისა.

ინფორმაცია უნდა მოიცავდეს დავალიანების აღწერას (წარმოშობის ვადა, მოცულობა, სახე და ა. შ.), წარმოშობის საფუძველ(ებ)ს, თან უნდა ახლდეს კონკრეტული იურიდიული და ფინანსური დოკუმენტაცია, რითაც დასტურდება დავალიანების არსებობა 2008 წლის 1 დეკემბრამდე. აგრეთვე სხვა საჭირო მონაცემებს, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, დავალიანების არსებობის უტყუარობისა და კანონიერების სამართლებრივი დადასტურებისთვის.

გთხოვთ, ინფორმაცია წარმოადგინოთ შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, სამასი არაგველის ქ. №24, ელ. ფოსტა:** info@sggas.ge **საკონტაქტო პირი: მარიამ ნიქაბაძე.**

◎ გაითვალისწინეთ!

აქტიური პროცესები იანვარში

იანვარში გეოფიზიკური აქტივობის გაძლიერება მოსალოდნელია: 8,9,12,13,16, 19-27 რიცხვებში. ამ დღეებში შესაძლებელია ციკლონებისა და გრიგალების ჩამოყალიბება, ყველა სახეობის ავარიულობის გადიდება, სეისმოაქტივობისა და სოციუმში დაძაბულობის გაძლიერება.

8 – მთვარის იუპიტერთან შეერთება ლომის ნიშანში. გაზრდილია საკუთარი თავის მნიშვნელობის გრძნობა, სურვილი, უხელმძღვანელოს და გასცეს ბრძანებები, იყოს ყურადღების ცენტრში. შესაძლებელია გულისა და სისხლძარღვების დაავადებანი. აუცილებელია გამოვრიცხოთ ფიზიკური დატვირთვები. სასარგებლოა ზომიერი ფიზიკური ვარჯიშები.

13 – მთვარის უკანასკნელი მეოთხედი. მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ცვლილებები. შესაძლებელია იმუნიტეტის დაქვეითება, შეიძლება შეგვაწუხოს თირკმლებმა, ნაღვლის ბუშტმა, კუჭქვეშა ჯირკვლებმა. რეკომენდებულია უარი ვთქვათ ალკოჰოლზე, ცხარე, მარილიან და ცხიმიან საკვებზე.

16 – მთვარის სატურნთან შეერთება მშვილდოსანში. არ არის გამორიცხული ტკივილები ხერხემალსა და თეძოს მიდამოებში. არ არის რეკომენდებული წამოვიწყოთ ახალი საქმეები, ვიდავოთ და მოვაწყოთ კონფლიქტები. სასარგებლოა სუნთქვითი ვარჯიშები, ფიზიკური ვარჯიშები, მასაჟი, მსუბუქი გასეირნება.

19 – მთვარის შეერთება პლუტონთან თხის რძაში. საალბათოა საყრდენ- მოძრავი აპარატის დაავადებანი, ტკივილები სახსრებში, ოსტეოქონდროზის გამწვავება. არ არის გამორიცხული შარდსადენი სფეროს ორგანოების, კანისა და კბილების დაავადებანი.

20 – მზე გადადის მერწყულის ნიშანში, სავსე მთვარე. მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ცვლილებები. ორგანიზმი დასუსტებულია, დიდია ინფექციურ დაავადებათა ალბათობა. სასურველია დღე გავატაროთ მშვიდ ვითარებაში, სტრესების და დიდი დატვირთვების გარეშე. ახალი საქმეების წამოწყება უმჯობესია, გადავდოთ.

21 – მთვარის მერკურთან შეერთება მერწყულში,

მთვარის პერიგეა. შესაძლებელია ნერვიულობა და გაღიზიანებულობა, საერთო სისუსტე. აუცილებელია უარი ვთქვათ ხანგრძლივ, მომთენთავ გასეირნებებზე, ტელეგადაცემების ყურებაზე და მუშაობაზე კომპიუტერთან, კითხვასა ან ქსოვაზე. იყავით ფრთხილად ტრანსპორტში მოგზაურობის დროს, ერიდეთ დაცემებს.

22 – მთვარის შეერთება ვენერასთან მერწყულში. არ არის გამორიცხული სახსრების დაავადებანი, თრომბოფლებიტის გამწვავება. შეიძლება გაჩნდეს ნევრალგიური ტკივილები ზურგში, არ შეიძლება გადავტვირთოთ ფეხები, დავღალოთ თვალები. ხელსაყრელი დროა შემოქმედებისთვის, სწავლისთვის, სახლის კეთილმოწყობისთვის, ურთიერთობათა მოწესრიგებისთვის.

23 – მთვარის ნეპტუნთან და მარსთან შეერთება თევზებში. შესაძლებელია ტრავმები, ტკივილები ფეხის სახსრებში, შეშუპებები. არ არის გამორიცხული ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის დაავადებათა გამწვავება. აუცილებელია, უარი ვთქვათ ალკოჰოლზე, ყავაზე, ცხიმიან და მძიმე საკვებზე, არ მოვქანცოთ თვალები და ფეხები, ვერიდოთ სტრესებს. სასარგებლოა გასეირნებანი, ღრმა ძილი, ტერფების მასაჟი, წყლის პროცედურები.

25 – მთვარის ურანთან შეერთება ვერძში. შეიძლება გაჩნდეს ან გაძლიერდეს ხერხემლის კისრის განყოფილების, თვალის, სმენის ორგანოების დაავადებანი. აუცილებელია ვერიდოთ გონებრივ, ფიზიკურ და ემოციურ გადაღლებს, უარი ვთქვათ ალკოჰოლსა და აღმგზნებ საშუალებებზე, შოკოლადსა და მოწევაზე. სასარგებლოა გასეირნება, სამკურნალო ვარჯიშები.

27 – მთვარის პირველი მეოთხედი, ვენერა გადადის თევზების ნიშანში. მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ცვლილებები, შესაძლებელია თავის ტკივილები, საალბათოა ენდოკრინული სისტემის დაავადებანი. არ არის გამორიცხული ფილტვებთან, ბრონქებთან და კუჭ-ნაწლავთან დაკავშირებული პრობლემები. გაზრდილია გაცივების, ანგინისა და კვებითი მოწამვლის საფრთხე.

ო, ჩემო მშვენიერო რაინდო!

გზა მამაკაცის გულისკენ კომპლიმენტზე გადის

მიაჩნიათ, გზა მამაკაცის გულისკენ კუჭზე გადისო. ძნელია, შეედავო ამ მტკიცებას... მაგრამ ყურადღებას იმსახურებს მეორე პოსტულატიც: მამაკაცებს, ისევე როგორც დედაკაცებსაც, უყვართ ყურებით.

ჩვენი ექსპერტია — ფსიქოლოგი ვადიმ ჟდანოვი.

რატომ ვაცდუნოთ მამაკაცი?

დიახ, დიახ! მამაკაცებს უყვართ არა მხოლოდ თვალებით, არამედ ყურითაც... ამიტომ თუ არ ექნება ხელოვნება ილაპარაკოს კომპლიმენტებით, მშვენიერ დამას გაუჭირდება აცდუნოს კავალერი, რომელიც მოეწონა.

„მაგრამ რატომ უნდა აცდუნოს თავად ქალიშვილმა თვალში მოხვედრილი რაინდი? ნუთუ ძლიერი სქესის წარმომადგენლებმა ჩვენს დროში შეწყვიტეს იყვნენ მაცდუნებელნი და დამპყრობელნი?“ — შეიძლება იკითხოს გაოცებულმა მკითხველმა ქალბატონმა. მართლაც თანამედროვე მსოფლიოში მაცდუნებელთა და დამპყრობელთა როლში სულ უფრო ხშირად გამოდიან ორივე სქესის წარმომადგენლები. XXI საუკუნის ადამიანებს არ აქვთ სურვილი, ელოდონ, სანამ ღირსეული კავალრები მიაქცევენ მათ ყურადღებას; ისინი თავად ისწრაფვიან, ამოირჩიონ მამაკაცები, რომლებიც შეესაბამებიან მათს მოლოდინსა და წარმოდგენებს.

გიყვარდეს ყურით

დაივიწყეთ მოძველებული სტერეოტიპი იმის შესახებ, რომ კომპლიმენტებით უნდა ილაპარაკონ მხოლოდ მამაკაცებმა, ქალბატონის ამოცანა კი არის ის, რომ კეთილად მოისმინოს ისინი, შეფარულად გაიღიმოს და კეთილგანწყობით იქნიოს თავი!.. ურთიერთობათა საკანფეტო-საბუკეტო პერიოდის დროს ურთიერთკომპლიმენტი ჩასახული სასიყვარულო თამაშის განუყოფელი ნაწილია. ერთმანეთს ვეუბნებით მოწონების, აღტაცების, პატივისცემისა და აღიარების სიტყვებს. რასაკვირველია, ამ საკითხში მამაკაცმა მეტი აქტიურობა უნდა გამოიჩინოს. ჩვეულებრივად ცხოვრებაში ასეც ხდება. მაგრამ ქალებიც არ უნდა გამოდიოდნენ მოფერებითი ფრაზების მხოლოდ „მომთხოვნელთა“ როლში. მამაკაცებსაც სურთ მათი მოსმენა.

ერთი სამთან

რასაკვირველია, ყოველ წყვილში ყალიბდება ურთიერთობათა თავისი „ფორმატი“ და თავისი ტრადიციები. მაგრამ ორიენტირის სახით შეიძლება მხარი დავუჭიროთ ასეთ ფორმულას: სამ კომპლიმენტზე, რომელთა დახმარებითაც კავალერი გამოთქვამს შესანიშნავი ქალბატონით აღტაცებას, ამ ქალბატონმაც უნდა თქვას ერთი კომპლიმენტი მისი მისამართით.

„კომპლიმენტები დროულია და აუცილებელი არა მხოლოდ ურთიერთობათა ჩამოყალიბების პერიოდში. მათ გვერდს ვერ აუვლი საქორწინო კავშირშიც, — ამტკიცებს ფსიქოლოგი ვადიმ ჟდანოვი. — კეთილი და მოფერებითი სიტყვების დახმარებით ცოლ-ქმარი ხაზგასმით აღნიშნავენ, რამდენად მნიშვნელოვანი და ძვირფასები არიან ისინი ერთმანეთისთვის. ამ დროს ფორმულა ერთი სამთან კვლავ სწორად რჩება“.

„ბევრი მეუბნებოდა მე ამას!“

ქალბატონებისთვის მეტად მნიშვნელოვანია ისწავლონ კომპლიმენტების მიღება. ამისთვის მათთვის აუცილებელია დაფიქრდნენ თავიანთ რეაქციაზე მამაკაცების ყურადღების ნიშნებზე. მამაკაცების აღფრთოვანების სიტყვებზე ყველაზე წარუმატებელი სიტყვები ასეთია: „ვიცი... ბევრი მეუბნება მე ამას... ეს ბევრჯერ მომისმენია“. ასეთი პასუხის შემდეგ მამაკაცებს არა მხოლოდ ეკარგებათ სურვილი, ილაპარაკოს კომპლიმენტები, არამედ შეიძლება გაუჩნდეთ კიდეც აზრი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ. კავალერმა აუცილებლად უნდა იგრძნოს, რომ მისმა კომპლიმენტმა სიხარული მიანიჭა რჩეულს, რომ ქალმა იგი დააფასა.

ბალზამი გულზე

როგორი კომპლიმენტები უყვართ თავად მამაკაცებს? მამაკაცისთვის, თუნდაც წყნარისთვის, მერყეევისთვის და რბილი ხასიათისთვის, სასიამოვნოა შეიგრძნოს თავი ლიდერად და დამცველად. ამიტომ, როდესაც ქალი ამბობს, რომ კავალერის გვერდით თავს გრძნობს, როგორც მტკიცედ დაცული, ეს სიტყვები ბალზამად იქცევა მამაკაცის გულისთვის. ძლიერი სქესის წარმომადგენლები, რომლებიც ეწევიან ცხოვრების ჯანსაღ წესს, მისდევენ სპორტს და თვალყურს ადევნებენ თავიანთ ფიგურას, მოხარული იქნებიან, თუ დამა კეთილ მზერას მიაპყრობს მათ გარეგნულ იერს. უთხარით თქვენს მამაკაცს, რომ თქვენ აღტაცებაში მოჰყავხართ მის ფართო მხრებს, ფოლადივით კუნთებს და დიდებულ ნამზეურობას.

მამაკაცები აფასებენ, როდესაც ქალები აღნიშნავენ მათს ინტელექტუალურ უნარსა და კომპეტენტურობას სხვადასხვა დარგში. თქვენს ერთგულ რაინდთან უფრო ხშირად გამოიყენეთ ხოლმე ასეთი წინადადებანი: „ძალიან საინტერესოა შენთან ყოფნა! მიყვარს შენი ისტორიების მოსმენა! შენ შეგიძლია ყველაფერი მარტივად და გასაგებად ახსნა!“ ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი ფრაზა, რომლის მოსმენაც სურს მამაკაცს ქალის მხრიდაგნ, ესაა — „მე შენი მესმის!“

მამაკაცის თავმოყვარეობისთვის სასიამოვნოა, როდესაც დამა სთხოვს რჩევას ან დახმარებას იმ სფეროში, რომელშიც მამაკაცი თავს ექსპერტად მიიჩნევს. ეს შეიძლება იყოს კომპიუტერის შეკეთება, ავტომობილის რემონტი ან აგარაკის გადაკეთება. ნუ დაივიწყებთ შეაქოთ, მადლობა გადაუხადოთ მამაკაცს შეკეთებული ონკანისთვის აბაზანაში, მიჭედებული თაროსთვის ან ნებისმიერი სხვა დახმარებისთვის. „ოქროს ხელები გაქვს! რა უნდა მექნა უშენოდ...“ — ამგვარი კომპლიმენტებით ზედმეტი არაფერი გამოგივათ.

არ გჭირდება პირფერობა

კომპლიმენტი პირფერობისგან **განსხვავდება იმით, რომ წარმოითქმება ყოველგვარი ანგარების გარეშე. ამას გარდა, აღფრთოვანებული სიტყვები უნდა განეკუთვნებოდეს მამაკაცის რეალურ და არა გამოგონებულ თავისებურებებს.** თუ ბუნებამ დააჯილდოვა თქვენი კავალერი სუბტილური ფიგურით და მან მხოლოდ ამ ცოტა ხნის წინათ შეიძინა აბონემენტი სატრენაჟორო დარბაზში, არ არის საჭირო უძახო მას „ჩემო ჰერაკლევ“. ეს სიტყვები შეიძლება აღქმული იქნეს არა როგორც კომპლიმენტი, არამედ როგორც ბოროტი ირონია. გაცილებით უკეთესია, შეაქო შენი რჩეულის რომანტიკულობა, მზრუნველობა, მომხიბვლელობა, იუმორის გრძნობა და სხვა თვისებები.

ილია ბრუშტეინი

ალეფი

◎ ამინდი

საქართველოს უმეტეს რაიონებში ყინვებია მოსალოდნელი

როგორც გარემოს დაცვის სააგენტოს გრძელვადიანი პროგნოზების ბიუროს უფროსის მოადგილემ ნინო წვერავამ განაცხადა, 7 იანვარიდან დასავლეთ საქართველოში ჩრდილო-დასავლეთიდან გავრცელებას დაიწყებს ცივი ჰაერის მასები. შესაბამისად, 7 იანვარს, დღის მეორე ნახევარიდან დასავლეთ საქართველოში წვიმა თოვლში გადავა, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოშიც გავრცელდება. ძლიერი თოვლი მოსალოდნელია მთასა და მაღალმთაში. ითოვებს თბილისშიც.

ამასთან, 7-8 იანვარს საქართველოს მთელს ტერიტორიაზე ძლიერი ქარი იქროლებს. კერძოდ, 10-15 მეტრი წამში, დროგამოშვებით კი — 20-25 მეტრი წამში; მაღალ მთაში იქნება ქარბუქი. კობი-გუდაურის გზის მონაკვეთზე — ზავსაშიშროება.

8 იანვარს დასავლეთ საქართველოს უმეტეს, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონებში მოთოვს, მათ შორის — თბილისშიც. 8 იანვრიდან საქართველოში ტემპერატურა მკვეთრად დაიკლებს და ღამით ყინვები დაფიქსირდება.

9 იანვარს დღის მეორე ნახევრიდან კი ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე თოვა შეწყდება.

9-10 იანვარს დასავლეთ საქართველოს დაბლობში ღამით -6-1 გრადუსი დაფიქსირდება; მთაში -12-7 გრადუსი; მაღალმთაში -20-15 გრადუსი. აღმოსავლეთ საქართველოს ბარში ღამით -10-5 გრადუსი; შიდა ქართლში (გორსა და ხაშურში) ღამით -14 გრადუსამდე; მთაში ღამით - 15-10; მაღალმთაში ღამით -23 -18 გრადუსი.

თბილისში 9 იანვარს ღამით - 5 გრადუსი იქნება; 10 იანვარს ღამით კი - 6.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
299-62-77; 568 82-09-84..

◎ ცინცხალი ანეკდოტები

— **მამი**, როგორი გრძნობაა, როცა ლამაზი და ჭკვიანი შვილი გყავს?

— არ ვიცი, შვილო. წადი, ბიძაშენს ჰკითხე.

* * *

ორი ძმაკაცი შეხვდა ერთმანეთს.

— პეტკა, გავიგე, რომ გუშინ ავარია გაგიკეთებია...

— ჰო, თხრილში ვისკუპე მანქანით...

— რანაირად მოგივიდა შენნაირ გამოცდილ მძღოლს?

— როგორ და, ცოლი მეჯდა მანქანაში. გზის პირას ნახევრად შიშველი გოგო იდგა, ჩემმა ქარაფშუტა ცოლმა კიდევ თვალებზე ხელები ამაფარა, არ შეხედოსო...

* * *

— **ალო**, ეს შენ ხარ, მეზობელო? მაპატიე, ასე გვიან რომ გაწუხებ, მაგრამ ჩემი ცოლი რატომღაც ძალიან იგვიანებს. შენთან ხომ არ შემოუვლია შემთხვევით?

— მოიცა, ახლავე ვკითხავ: ლუსია, შენ შემთხვევით შემოიარე ჩემთან თუ სპეციალურად მოხვედი?

* * *

— **ხომ** არ დაგავიწყდა, რომ ჩემი ათასი დოლარი გმართებს?

— ჯერ არ დამვიწყნია. მაგრამ ცოტა კიდევ მადროვე და აუცილებლად დავივიწყებ.

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24